ბათუმის უნივერსიტეტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №1-2, იანვარ-თებერვალი 2017

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩვენი ქვეყნის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის უმნიშვნელოვანესი ცენტრია, რომელსაც 82-წლიანი ისტორია აქვს.

ქართული საზოგადოების მუდმივი ზრუნვის საგანს წარმოადგენდა აჭარაში საგანმანათლებლო სისტემის დაფუძნება და განვითარება. 1893 წელს ბათუმში ვაჟთა გიმნაზიის გახსნის საკითხი დაისვა. 1895 წლის 26-27 ივნისს ქალაქის თვითმმართველობამ ვაჟთა გიმნაზიის შენობისათვის ზღვის სანაპიროსთან გამოყო 2 623, 95 კვ. საჟენი მიწის ფართი. გიმნაზიის შენობის გეგმა შეადგინა სამხედრო ინჟინერმა სედელნიკოვმა. სასწავლებლის პირველ სართულზე განთავსებული იყო სპორტული დარბაზი, ხოლო მეორე სართულზე - ეკლესია, სააქტო დარბაზი, რვა საკლასო ოთახი, სამხატვრო კლასი, ფიზიკის კაბინეტი, ლაბორატორია და ბიბლიოთეკა. 1897 წლის ივლისში ვაჟთა გიმნაზიამ ფუნქციონირება დაიწყო. 1900 წლის 26 სექტემბერს შესაძლებელი გახდა ქალთა გიმნაზიის გახსნაც. მოგვიანებით, 1923 წლისათვის, ქალთა გიმნაზიის ყოფილ შენობაში (ამჟამად №2 საშუალო სკოლა) დაფუძნდა პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელიც შემდეგ პედაგოგიურ ტექნიკუმად გადაკეთდა. იგი პირველი საფეხურის სკოლის მასწავლებლებს ამზადებდა.

ვაჟთა გიმნაზიის შენობაში 1935 წელს გაიხსნა ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი 4 ფაკულტეტით: ქართული ენისა და ლიტერატურის, ფიზიკა-მათემატიკის, ისტორიისა და საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის, რომლებსაც 1936 წელს დაემატა ფიზკულტურის, ხოლო 1938 წელს - რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტებიც.

1938 წელს ინსტიტუტს მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელი.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (იმ დროისათვის - სამასწავლებლო ინსტიტუტში) მოღვაწეობდნენ ქართული მეცნიერების გამორჩეული წარმომადგენლები: გიორგი ახვლედიანი, გიორგი წერეთელი, იასე ცინცაძე, სარგის კაკაბაძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, გიორგი თავზიშვილი, რაჟდენ ხუციშვილი, დიმიტრი გედევანიშვილი, გიორგი ჯავახიშვილი, ვუკოლ ბერიძე, შოთა ძიძიგური და სხვები.

1945 წლის ივნისში ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის ბაზაზე ჩამოყალიბდა პედაგოგიური ინსტიტუტი. დაიწყო მისი რეკონსტრუქცია და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა. 1956 წელს ექსპლუატაციაში შევიდა განახლებული შენობა, თუმცა ინსტიტუტის ზრდის კვალობაზე ესეც აღარ იყო საკმარისი და 1977 წელს დაიწყო ახალი, ხუთსართულიანი კორპუსის მშენებლობა, რომელიც 1982 წელს დასრულდა.

საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1990 წლის 3 სექტემბრის №453 დადგენილებით, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე დაარსდა სახელმწიფო უნივერსიტეტი. ცვლილების შემდეგ გარდა სპეციალური საფაკულტეტო კათედრებისა, სასწავლებელში ფუნქციონირებას შეუდგა 9 საუნივერსიტეტო კათედრა. გაიზარდა სპეციალობათა რაოდენობა, ჩამოყალიბდა იურიდიული, ეკონომიკური და სამედიცინო ფაკულტეტები. ქვეყანაში განხორციელებული საგანმანათლებლო რეფორმის შედეგად, უნივერსიტეტი გადავიდა ორსაფეხურიან სწავლებაზე: შეიქმნა ბაკალავრიატი და მაგისტრატურა. ცალკეულ მიმართულებებში ფუნქციონირებდა ასპირანტურაც.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი დღეისათვის აერთიანებს 9 ფაკულტეტს: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, განათლების, ეკონომიკისა და ბიზნესის, იურიდიულ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის, ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა, ტექნოლოგიურ და ტურიზმის ფაკულტეტებს. დღეისათვის, უნივერსიტეტში უმაღლესი პროფესიული, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე 6000-მდე სტუდენტი სწავლობს.

ეტაპობრივად ფართოვდება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, იზრდება სტუდენტთა რაოდენობა, მრავალფეროვანი ხდება სასწავლო პროგრამები, მკვიდრდება ახალი სპეციალობები, იზრდება კადრები.

2011 წელს უნივერსიტეტმა წარმატებით გაიარა ავტორიზაცია და აკრედიტაცია. სტუდენტებს სწავლების სამივე საფეხურზე პროგრამების დიდ არჩევანს სთავაზობს: 15 ავტორიზირებულ პროფესიულ, 51 საბაკალავრო, 28 სამაგისტრო, 14 სადოქტორო პროგრამას. უნივერსიტეტი ინარჩუნებს ტრადიციულ, ფუნდამენტურ დარგებს და ამავე დროს, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, ნერგავს და ავითარებს ახალ მიმართულებებს. ინტენსიურად გამოიყენება სწავლების თანამედროვე მეთოდები, მათ შორის, ელექტრონული სწავლებაც.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალი, ტრადიციები და ადგილმდებარეობა განსაზღვრავს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პრიორიტეტებს. უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი წარმატებით მუშაობს საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარულ, სოციალურ, სამართალმცოდნეობის, მათემატიკური და კომპიუტერული მეცნიერებების, საინჟინრო, ტექნოლოგიური, ბიზნესის, ჯანდაცვის მიმართულებებსა და სოფლის მეურნეობის დარგებში.

პროექტმა – „ბათუმი - საუნივერსიტეტო ქალაქი" – აქტუალობა შეიძინა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების გზაზე ახალი პერსპექტივები გაჩნდა.

ძვირფასო აბიტურიენტებო!

თქვენ ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების წინაშე დგახართ. უნდა აირჩიოთ პროფესია, რომელიც თქვენი ცხოვრების განმსაზღვრელი და შესაძლებლობების რეალიზების საფუძველი გახდება.

ქვეყნის წინსვლა, განვითარება და მომავალი განათლებული, წარმატებული, კონკურენტუნარიანი ახალგაზრდობის ძალისხმევაზეა დამოკიდებული. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც გთავაზობთ თითქმის საუკუნოვან გამოცდილებაზე დაფუძნებულ, ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან ადაპტირებულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

გარწმუნებთ, ჩვენს უნივერსიტეტში მიღებული განათლება თქვენი წარმატებული მომავლის საფუძველი იქნება!

პატივისცემით, უნივერსიტეტის რექტორი
მერაბ ხალვაში

მე ავირჩიე ბსუ, აირჩიე შენც!

„ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა და გამოცდილების მიღება, რამეთუ ჩემი კარიერული წინსვლა და განვითარება აქ სწავლის შემდეგ დაიწყო. აგრარული დარგი მეტად საინტერესო მეცნიერებაა და მისი შესწავლა არცთუ ისე მარტივია. ეს მიმართულება ძალიან პრიორიტეტულია დღესდღეობით საქართველოში და მისი განვითარება თითოეულ ჩვენგანზეა დამოკიდებული.

ჩემი პირველი წარმატება პირველივე კურსზე სტიპენდიით დაიწყო. იმ პერიოდისათვის ფაკულტეტზე მხოლოდ ერთი სტიპენდიანტი ვიყავი, რითაც უნდა მეამაყა და სტიმული მომცემოდა მეტი აქტიურობისათვის და ასეც მოხდა. ილია ჭავჭავაძის სიტყვებს გავიმეორებ; „ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული“. მეოთხე კურსზე მაღალი აკადემიური მოსწრების საშუალებით სოფლის მეურნეობის სამინისტროში 6-თვიანი სახელმწიფო სტაჟირება გავიარე, სადაც დეტალურად შევისწავლე საჯარო სამსახურის მოხელის ფუნქცია-მოვალეობები. შემდეგ სტაჟიორად ვიყავი აგროსერვისცენტრში.

წარმატებით დასრულების და დადებითად შეფასების შემდეგ, დავიწყე მუშაობა სამინისტროზე დაქვემდებარებულ ა(ა)იპ აგროსერვისცენტრში. 2015-2016 წლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მემორანდუმის საფუძველზე სამეცნიერო-კვლევითი საგრანტო პროექტის „აჭარის რეგიონში არსებული სასოფლო სამეურნეო ტექნიკის საექსპლუატაციო საიმედოობის მაჩვენებლების გამოკვლევა და ტექნიკური სერვისის რაციონალური ფორმების დამუშავების“ ერთ-ერთ შემსრულებლად აღმოვჩნდი, პროექტის ფარგლებში აჭარის მასშტაბით — ქედის, შუახევისა ხულოს რაიონებში ბენეფიციართა/ფერმერთა ხელთარსებული მცირე და დიდი მექანიზაციის საშუალებები აღვწერეთ. ეს პროექტი დღესაც გრძელდება და მისი მიზანია რაიონებში სერვის ცენტრების გახსნა, რაც ორიენტირებული იქნება ფერმერთა მომსახურებაზე, ჩართულობასა და მათ აქტიურობაზე სოფლის მეურნეობის განვითარების მხრივ.

ბსუ და მე განუყოფელი მეგობრები ვართ, ყოველდღიურად მმატებს ცოდნასა და გამოცდილებას. 2016 წლის სექტემბრიდან პრაქტიკაზე ვარ ქობულეთის მანდარინის ქარხანაში შპს „აქტივების მართვის ქართული ინდუსტრიული ჯგუფში“, სადაც სიღრმისეულად შევისწავლე მანდარინის გადამუშავების მანქანა დანადგარები და ლაბორატორიაში მუშაობის გამოცდილება, სადაც ვაკეთებ სხვადასხვა აპარატ-დანადგარებზე ნიმუშებსა და ცდებს...

ყოველთვის ვცდილობ ვიყო აქტიური და არ ჩამოვრჩე ყოველდღიურ განვითარებას, გავიარე მრავალი ტრენინგი (შ,ღ, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი, კოლეჯი „ბლექსი“, ბიზნეს ინკუბატორში და სხვა). ამავე დროს ვარ ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგრარული მიმართულების 2016 წლის სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის გამარჯვებული. 2016 წელს მოხსენებით გამოვედი საქართველოს ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონალური სამეცნიერო ცენტრის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე (თემა: „ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესვისწინა დამუშავების უახლესი ტექნოლოგიებისა და აგროტექნიკის საკითხები აჭარის ფერმერულ მეურნეობებში)“.

ჩემი სამომავლო გეგმები და ხედვა სოფლის მეურნეობაში გამოიხატება, ჩვენ გვჭირდება ძლიერი სოფელი და ძლიერი ქალაქი, რისთვისაც საჭიროა ერთად თანადგომა და მუშაობა. ჩემი მიზანი სოფლის მეურნეობაში არის ფერმერული მეურნეობის შექმნა, ხალხთან მუშაობა და მათზე დახმარების გაწევა.

ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგრარული მიმართულების მაგისტრანტი, მამუკა ცეცხლაძე

„ჩემი, როგორც ბსუ-ს სტუდენტის ისტორია 2013 წელს იწყება, როცა 100%-იანი დაფინანსებით ტურიზმის ფაკულტეტზე ჩავირიცხე. ამ უნივერსიტეტთან მე და ჩემს ოჯახს მრავალწლიანი ისტორია გვაკავშირებს. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩვენი ქვეყნის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის უმნიშვნელოვანესი ცენტრია, რომელსაც 81-წლიანი ისტორია აქვს. არ მინდა სუბიექტური ვიყო, თუმცა ჩემთვის ეს უნივერსიტეტი გამოირჩევა არა მარტო მაღალი აკადემიურობის მქონე პერსონალითა და სწავლების მაღალი ხარისხით, არამედ აქვს არაჩვეულებრივი ადგილმდებარეობა, ტრადიციები და ისევე როგორც მთელ საქართველოსა და აჭარაში, სტუმართმასპინძლობა აქაც უმაღლეს საფეხურზე დგას.

უნივერსიტეტში ჩარიცხვისთანაცე ტურიზმის ფაკულტეტის მიერ დამენიშნა 1- წლიანი სტიპენდია. უკვე მე - 4 წელია უწყვეტად ვარ საუნივერსიტეტო სტიპენდიის მფლობელი და ამასთან ერთად მიღებული მაქვს სხვა სახელობითი სტიპენდიები: 2- ჯერ ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია და აგრეთვე „ჰილტონ ბათუმი“-ს სტიპენდია. ტურიზმის ფაკულტეტის „უცხოეთში სტაჟირების პროგრამის“ ფარგლებში, მე-2 კურსის ბოლოს, 2-თვიანი სასწავლო პრაქტიკა გავიარე გერმანიაში, ხოლო მე-3 კურსის ბოლოს გავემგზავრე ნორვეგიაში, სადაც სამხრეთ-აღმოსავლეთ ნორვეგიის უნივერსიტეტში გამართულ ერთკვირიან კონფერენციაში „მდგრადი ტურიზმი: სოფლად ტურიზმი და კულტურული მემკვიდრეობა“

— მივიღე მონაწილეობა. ამჟამადაც ერთთვიანი გაცვლითი პროგრამით ვიმყოფები ნორვეგიაში, ტელემარკის რეგიონში და ჩემ მიერ ჩატარებული კვლევის ანალიზის საფუძველზე ვწერ საბაკალავრო ნაშრომს. ჩემი ერთ-ერთი უდიდესი მიღწევა კი ერასმუს + ში გამარჯვებას უკავშირდება. მეორე სემესტრში სწორედ ერასმუს + ით მივემგზავრები პოლონეთში და სწავლას შჩეცინის უნივერსიტეტში გავაგრძელებ. სამომავლოდ, ბაკალავრის წოდების მიღების შემდგომ, მსურს ჩემი სტუდენტური წლები ისევ ბსუ - ს დავუკავშირო და სამაგისტრო პროგრამაზე გავაგრძელო სწავლა“.

ტურიზმის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი თეონა ქარცივაძე

„ჩემთვის დიდი პატივია ისეთ უნივერსიტეტში ვსწავლობდე, რომელსაც არაერთი წარმატებული პიროვნება აღუზრდია. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა იმიტომაც არის პრესტიჟული, რომ მას ხელმძღვანელობს წინდახედული, გონიერი და პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდა რექტორი. საამაყოა ისიც, რომ უნივერსიტეტში გვყავს სახელგანთქმული და ნიჭიერი პროფესურა.

ბსუ არამარტო ფართო თეორიულ ცოდნას მაძლევს, არამედ კომუნიკაციის უნარებს მიმუშავებს სხვადასხვა კატეგორიის ადამიანებთან. უნივერსიტეტმა ჩამინერგა სწავლისადმი სიყვარული და დემოკრატიის პრინციპები, რაც ჩემთვის წინგადადგმული ნაბიჯია. გარდა ღრმა თეორიული ცოდნისა, უნივერსიტეტი მაძლევს მეცნიერული კვლევების ათვისების პრაქტიკულ შესაძლებლობებს, რაც აგრარული მიმართულების სასწავლო კვლევით ბაზებში ხორციელდება. აქ მრავალი შესაძლებლობა არსებობს არა მარტო თეორიული ცოდნის ამაღლების, არამედ პრაქტიკული დაოსტატების მხრივ.

მე ვცხოვრობ ჩემი უნივერსიტეტის ცხოვრებით. მან მომცა ყველაფერი ის, რაზეც დღეს საქართველოში ბევრი ახალგაზრდა ოცნებობს. შესაბამისად, სწავლით ვცდილობ უნივერსიტეტს ამაგი უკან დავუბრუნო. ამის საფუძველს კი ჩვენი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი იძლევა.

პირველივე სემესტრიდან აქტიურად ვარ ჩაბმული უნივერსიტეტის სტუდენტურ ცხოვრებაში. გახლავართ სტუდენტური თვითმართველობის ვიცე-პრეზიდენტი და სტუდენტთა წარმომადგენელი უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოში. ვმონაწილეობ როგორც ადგილობრივ, ისე სტუდენტთა რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებში. არჩეული ვარ ფაკულტეტის საბჭოს წევრად. მიზიდავს სტუდენტური სპორტული ღონისძიებები და ვარ უნივერსიტეტის სტუდენტური კალათბურთის გუნდის წევრი. პირველივე კურსიდან ვარ ფაკულტეტის მხარეთმცოდნეობის კლუბის წევრი და მონაწილეობას ვღებულობ უნივერსიტეტში მოწყობილ ყველა სტუდენტურ ღონისძიებაში“.

ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგრარული მიმართულება, გიორგი ჯინჭარაძე

ბსუ-მ ძალიან ბევრი რამ შემძინა: პირველი კურსიდან აქტიურად ჩავერთე სასწავლო პროცესში, ვცდილობდი ვყოფილიყავი ერთ-ერთი გამორჩეული სტუდენტი.... სურვილი მქონდა კარგად შემესრულებინა ჩემზე დაკისრებული ყველა ამოცანა და წარმომეჩინა საკუთარი თავი... უნივერსიტეტში დავაგროვე გამოცდილება, მივიღე შესაბამისი განათლება, გავიცანი ბევრი ადამიანი, რომლებთან ურთიერთობაც ძალიან მსიამოვნებს.

მე და ჩემი უნივერსიტეტი უკვე ოთხი წელია ვმეგობრობთ. ჩვენ შორის გაფორმდა „მემორანდუმი“, რომლის მიხედვითაც მე საკუთარ თავზე ავიღე პასუხისმგებლობა, რომ ვიქნები წარმატებული სტუდენტი, ხოლო უნივერსიტეტმა თავის მხრივ მომცა გარანტია იმისა, რომ დასახულ მიზნებს განვახორციელებ.

მეც დავიწყე: თავდაპირველად კურსელების სურვილით გავხდი ჯგუფხელი, შემდეგ — სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის წევრი, კოორდინატორი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე. ეს ის ნაბიჯი იყო, როცა უკვე დაიწყო ჩემი აქტიურობა უნივერსიტეტში, 2013 წლიდან არ გამომიტოვებია არცერთი სტუდენტთა საუნივერსიტეტო კონფერენცია, სადაც წარვადგინე სხვადასხვა აქტუალური თემა, ვიღებდი დადებით შეფასებებს, რაც მეტ სტიმულს მაძლევდა, რომ ვყოფილიყავი უფრო აქტიური სტუდენტი. 2013 წლიდან ვარ სტუდენტთა რეფერატულ ნაშრომთა კონკურსების და სტუდენტთა საუნივერსიტეტო კონფერენციების წამყვანი. გასულ წელს პროფესორ ბადრი გეჩბაიას ხელმძღვანელობით მონაწილეობა მივიღე უკრაინის ქალაქ ჩერნიგოვში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში თემით: „აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობა საქართველოში და ევროპული ბაზარი“. ვიყავი პროექტ „ბათუმის ახლაგაზრდული მერიის“ წევრი ავტოტრანსპორტის ხელმძღვანელი. ამჟამად ჩართული ვარ სხვადასხვა პროექტში და ვეწევი აქტიურ სტუდენტურ ცხოვრებას... ამავდროულად ვარ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის სტიპენდიანტი”.

დავით კონცელიძე, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სემიოტიკის VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

სემიოტიკის VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სემიოტიკის კვლევითი ცენტრის ორგანიზებითა და აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა.

სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „ქაოსისა და კოსმოსის სემიოტიკა“ ოთხი მიმართულებით მუშაობდა:

- ქაოსისა და კოსმოსის სემიოტიკა
- ლიტერატურის სემიოტიკა
- ენათმეცნიერება, ენის სემიოტიკა
- კულტურის სემიოტიკა, თარგმანი

ორი დღის განმავლობაში 100-მდე ქართველმა და უცხოელმა პროფესორ-მასწავლებელმა და მკვლევარმა საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს სემიოტიკის აქტუალურ პრობლემებზე. კონფერენციის მიმდინარეობისას გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე: სინერგეტიკა - მეცნიერების მომავალი.

სამეცნიერო კონფერენციის მიზანს სემიოტიკურ კვლევებში მეცნიერების სრულიად სხვადასხვა მიმართულების ლინგვისტების, ლიტერატურათმცოდნეების, ფსიქოლოგების, რელიგიათმცოდნეების, სოციოლოგების, პოლიტოლოგების, კულტურის მკვლევრების, არქეოლოგების, მათემატიკოსების, ქიმიკოსების გაერთიანება, მათ შორის საზღვრების გახსნა და კომუნიკაციის გააქტიურება წარმოადგენდა.

საქართველოში „ვეფხისტყაოსნის“ საჯარო კითხვის დღესთან დაკავშირებით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის საჯარო კითხვა და ქართული კალიგრაფიის გამოფენა-კონკურსი ყოველწლიურად იმართება. სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ სტროფები და პოემის თემატიკაზე შესრულებული ნახატები გამოფენის მთავარი საავიზიტო ბარათია.

ძალზე საინტერესო აღმოჩნდა კონკურსის ფარგლებში გამართული „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა ენაზე საჯარო კითხვა, რომელშიც ქართველ სტუდენტებთან ერთად ინდოელი სტუდენტებიც მონაწილეობდნენ. კალიგრაფიის კონკურსში პირველი ადგილი ჰუმანიტარული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტს დარიკო შენგელიას ერგო და საჩუქრად „ვეფხისტყაოსნის“ ორენოვანი გამოცემა, დანარჩენ მონაწილეებს კი ფაბლაბ ბსუ-ში დამზადებული შოთა რუსთაველის მედალიონები გადაეცათ.

„ვეფხისტყაოსნის“ გადაწერისა და ქართული კალიგრაფიის კონკურსი შოთა რუსთაველის 850 წლისთავს და საიუბილეო წელთან დაკავშირებით იუნესკოს მიერ მსოფლიოში შოთა რუსთაველის წლად გამოცხადებას მიეძღვნა.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი აერთიანებს უნივერსიტეტის ტრადიციული მიმართულებებს (ქართული ფილოლოგია, ისტორია, ფილოსოფია, ევროპული ენები და ლიტერატურა და სხვ.), რასაც დაარსების დღიდანვე დაეფუძნა უმაღლესი საგანმანათლებლო კერა აჭარაში.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი წარმატებით ახორციელებს სამივე საფეხურის (10 საბაკალავრო, 8 სამაგისტრო, 4 სადოქტორო) საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებზეც ჩარიცხვა ყოველწლიურად მზარდი კონკურენციის პირობებში ხდება, ფაკულტეტი ყოველწლიურად 250-მდე სტუდენტს იღებს. ამჟამად ფაკულტეტზე 1200-მდე სტუდენტი სწავლობს, მათ შორის უცხოელი სტუდენტებიც.

ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებია:

- ფილოსოფია
- ისტორია
- ქართული ფილოლოგია
- ინგლისური ფილოლოგია,
- გერმანული ფილოლოგია,
- ფრანგული ფილოლოგია
- რუსული ფილოლოგია
- თურქული ფილოლოგია,
- თურქეთისმცოდნეობა
- თარგმანმცოდნეობა

ორი პროგრამა - ქართული ფილოლოგია და ისტორია ხორციელდება სრული სახელმწიფო დაფინანსებით.

ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებს ემსახურება 70-მდე გამოცდილი, კვალიფიციური პროფესორი, ამდენივე მოწვეული მასწავლებელი, სწავლება ხორციელდება თანამედროვე მეთოდებით. გვაქვს საინტერესო სიახლეები, მიმდინარე სასწავლო წლიდან სტუდენტებს უკვე შესაძლებლობა აქვს არჩევით კურსებში აირჩიონ აფხაზური და ჩინური ენებიც.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი განთავსებულია უნივერსიტეტის ძველ, ისტორიულ შენობაში, აქვს თანამედროვე ტექნიკითა სპეციალიზებული ბიბლიოთეკებით აღჭურვილი კლას-კაბინეტები (ანგლისტიკის, გერმანისტიკისადა რომანისტიკის, ამერიკანისტიკის, აღმოსავლეთმცოდნეობის, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინოლოგიისა და ნეოგრეცისტიკის).

ფაკულტეტზე მოქმედებს არაფორმალური განათლების ცენტრი, რომლის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა საინტერესო სტუდენტური პროექტი, ეწყობა საინტერესო გამოფენები და შეხვედრები.

წარჩინებულ სტუდენტებს ენიშნება სემესტრული, საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სახელობითი სტიპენდიები.

ფაკულტეტის სტუდენტები მუდმივად მონაწილეობენ კონფერენციებში, საზაფხულო სკოლებში, გაცვლით პროგრამებში, რაც მათ საშუალებას აძლევს სწავლა გააგრძელონ ევროპის უნივერსიტეტებში.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ძლიერი მხარეებია:

- აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვნება;
- სტუდენტთა სტაბილური რაოდენობა;
- გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობები;
- დამსაქმებელთა ინტერესი;
- წარმატებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა;
- კომპეტენტური სამეცნიერო-პედაგოგიური კადრები.

გახდი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი, აირჩიე საინტერესო სტუდენტური ცხოვრება!

ევროპა იწყება საბერძნეთით

ინტელექტუალური თამაში „1453 წელი-კონსტანტინოპოლის დაცემა და მისი ალტერნატიული ისტორია“

ტრენინგი ფრანგული ენის მასწავლებლებისათვის



„ვეფხისტყაოსნის“ გადაწერისა და ქართული კალიგრაფიის კონკურსი

სამეცნიერო კონგრესი თესალონიკში

განათლების ფაკულტეტი

შენს შრომას და სწავლას აფასებენ

მე ავირჩიე ბსუ, აირჩიე შენც!

„პირადად ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვისაც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი საამაყოა. კიდევ უფრო საამაყოა, სწავლობდე უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე და არჩევანს კვლავ აკეთებდე 8 ათეულ წელზე მეტი გამოცდილების მქონე უნივერსიტეტზე.

იყო შენი მშობლიური ქალაქის უნივერსიტეტის სტუდენტი, ნიშნავს იდგე უმაღლესი განათლების მიღების გზაზე; თავს გრძნობდე დიდი და ერთიანი ოჯახისა და გუნდის სრულყოფილ წევრად, სადაც გვერდში გიდგას პროფესიონალ ლექტორ-მასწავლებელთა კოლექტივი, რომლებიც ყოველთვის მზად არიან გაგიზიარონ გამოცდილება და გადმოგცენ ცოდნა; მათ წიაღში კი გრძნობ, რომ ვითარდები, იცვლები და ყალიბდები იმ პროფესიის წარმომადგენლად, რომელზეც არჩევანი რამდენიმე წლის წინ გააკეთე. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტი იძლევა იმის საშუალებას, რომ საფუძველი წარმატებულ მომავალს ჩავუყაროთ.

2012 წელს დავამთავრე ხულოს რაიონ სოფელ ქედლების საჯარო სკოლა და ჩავირიცხე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, განათლების ფაკულტეტზე, დაწყებითი განათლების სპეციალობაზე. იმდენად კეთილგანწყობილი გარემოა აქ, რომ შეუძლებელია არ გახდე ამ დიდი და ერთიანი გუნდის წევრი. შესაბამისად, მიდიხარ წინ, ვითარდები, აღწევ ახალ-ახალ წარმატებებს, რაშიც ჩვენს ლექტორებს მართლაც რომ ლომის წვლილი მიუძღვით. ისინი გაძლევენ გეზსა და მიმართულებას ჩაერთო ისეთ მნიშვნელოვან საქმეში, რასაც ცოდნის შეძენა ჰქვია.

როცა უნივერსიტეტი მაქსიმალურად ხელს გიწყობს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ადამიანური რესურსების გამოყენებით მიიღო ხარისხიანი განათლება, ისწავლო და დასაქმდე, მაშინ თითოეული წინ გადადგმული ნაბიჯი მიმართულია წარმატებისკენ. ამასთან ერთად, წაგახალისოს სტიპენდიებით — კიდევ უფრო დიდი სტიმულია არ გაჩერდე და გადალახო ყველა დაბრკოლება.

ჩემი პირველი დიდი წარმატება უნივერსიტეტში, ვფიქრობ, ეს იყო პირველი სტიპენდია, ჩემი შრომისა და სწავლის პირველი ფინანსასურად ანაზღაურებული შედეგი, რაც კიდევ უფრო დიდი სტიმულის მომცემი იყო ჩემთვის, რომ წავსულიყავი წინ. მას მოჰყვა რექტორის სახელობის და შემდეგ უკვე ფრიადოსნობის სტიპენდიები. სწორდ ამ დროს ხვდები, რომ შენს შრომას და სწავლას აფასებენ.

ჩემი უნივერსიტეტის და ლექტორ-მასწავლებლების დამსახურებაა, რომ სწავლის დამთავრების შემდეგ მაგისტრატურაში გამეგრძელებინა სწავლა. არჩევანი კვლავ ჩემს მშობლიურ უნივერსიტეტსა და ფაკულტეტზე გავაკეთე. დღეს განათლების ადმინისტრირების პირველი კურსის მაგისტრანტი ვარ“.

ნათია ქედელიძე, განათლების ფაკულტეტი, მაგისტრანტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ბსუ-ს) მასწავლებლის მომზადების მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. თავისი 82-წლიანი ისტორიის მანძილზე მას არც ერთ პერიოდში არ შეუწყვეტია რეგიონისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი საქმე - მომავალ მასწავლებელთა მომზადება. ეს ბუნებრივიცაა, იგი ხომ პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზეა ჩამოყალიბებული და შესაბამისად, ეს ტრადიცია დღემდეც უდიდესი პასუხისმგებლობით გრძელდება. უნივერსიტეტის ამ მიმართულებით გაძლიერება ნიშანდობლივია, რადგან მხოლოდ რეგიონის მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, დასაქმებულ მასწავლებელთა თითქმის 90% სწორედ ბსუ-ს კურსდამთავრებულია.

მიმდინარე პერიოდში ბსუ-ს განათლების ფაკულტეტი ბაკალავრიატის საფეხურის ფარგლებში დაწყებითი განათლების საბაკალავრო და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს. ორივე მათგანი საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს დასაქმების მაჩვენებლიდან გამომდინარე. დაწყებითი განათლების სპეციალობის ისტორიას თუ გადავხედავთ, ფაქტობრივად, არც ერთ პერიოდში არ დაფიქსირებულა ვაკანსია გამოცხადებულ ადგილებზე. 2014 წლიდან დაწყებითი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 100%-ით აფინანსებს სახელმწიფო. უნივერსიტეტი ამ მიმართულებით ყოველწლიურად 90 სტუდენტს ღებულობს. რაც შეეხება საბაზო და საშუალო სკოლის მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას, იგი ბსუ-ში ფუნქციონირებს 2010 წლიდან და ხორციელდება შემდეგ მიმართულებებზე: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა, ინგლისური ენა და ლიტერატურა,

IV სამეცნიერო კონფერენცია ''სწავლისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები''

გერმანული ენა და ლიტერატურა, ფრანგული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა. აღნიშნულ პროგრამაზე არჩევანს აკეთებს ყოველწლიურად დაახლოებით 50-60-მდე სტუდენტი. მიმდინარე წელს ამოქმედდა დამოუკიდებელი ერთწლიანი (60 კრ.) ,,მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა“. პროგრამაზე დაიშვება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი დარგის ბაკალავრი/მაგისტრი, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული აქვს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდით, ასევე სასპორტო-პროფესიული განათლების მქონე პირი.

განათლების ფაკულტეტზე ფუნქციონირებს აგრეთვე განათლების ადმინისტრირებისა და უმაღლესი განათლების მენეჯმენტის სამაგისტრო და განათლების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებიც. აღნიშნული პროგრამებით დაინტერესებულ პირთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება.

ზემოთ დასახელებული ყველა საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია, თუმცა ყოველწლიურად ხდება მათი განვითარება და დროის მოთხოვნებზე მისადაგება.

2017-2018 სასწავლო წლიდან ფაკულტეტზე ამოქმედდება ,,ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

საზაფხულო სკოლა კრიტიკული აზროვნების განვითარებისთვის

10 წლის შემდეგ ისევ ბსუ-ში

მე ავირჩიე ბსუ, აირჩიე შენც!

„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მომცა შესაბამისი ცოდნა და საფუძველი, რაც გამოიხატება იმაში, რომ დღეს ვარ დასაქმებული, რეალიზებული და საზოგადოების აქტიური წევრი. სამაგისტრო პროგრამამ კი მომცა დამატებითი ცოდნა და უნარ-ჩვევები, რასაც აქტიურად ვიყენებ ჩემს საქმიანობაში.

ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტთან ჩემი ურთიერთობა 2002 წელს დაიწყო, მაშინ როდესაც ჟურნალისტიკის სპეციალობის ბაკალავრიატზე ჩავაბარე, ის წლები იყო ძალიან ნაყოფიერი, აქტიური და პროფესიული განვითარებისთვის საუკეთესო გზა. წარმატებულად ვმონაწილეობდი კონფერენციებში, არ ვაკლდებოდი ისეთ შესაძლებლობებს, რომელიც განკუთვნილი იყო რეგიონში არსებული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის და მათ შორის ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვისაც, როგორიც იყო მედია სკოლებში მონაწილეობა, ვორქშოფები, ტრენინგები. ასევე, კურსზე გამოვეცით სტუდენტური გაზეთი „51-ე აუდიტორია“, რომელიც გამოდიოდა თვეში ერთჯერ გაზეთ „ბათუმელების“ ჩანართის სახით. ძალიან საინტერესო პერიოდი იყო, აქტიური სტუდენტური ცხოვრებითა და ძიებებით სავსე. აკადემიური ნაწილის პარალელურად, დამატებით აქტივობებში მონაწილეობა ხელს არ მიშლიდა სრულად დავსწრებოდი ლექციებს, ვყოფილიყავი სტიპენდიანტი.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერისტეტში გატარებული სწავლე-



ბის პირველი საფეხურის წლები ყოველთვის სასიამოვნოდ, ნაყოფიერად და საინტერესოდ მახსენდებოდა, ამიტომაც სწავლის დასრულებიდან 10 წლის შემდეგ, ისევ ბათუმის უნივერსიტეტი ავირჩიე, გადაწყვეტილება იმანაც განაპირობა, რომ ამ წლების მანძილზე უნივერსიტეტი კიდევ უფრო განვითარდა. დღეს განათლების ფაკულტეტის განათლების ადმინისტრირების სპეციალობის მაგისტრანტი ვარ. მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ პროგრამის ჩვენს უნივერსიტეტში დანერგვის პროცესში და დღემდე აგრძელებს პროგრამის წარმატებულად განხორციელებას.

ამჟამად გახლავართ სილოვან დადუნაშვილის სახელობის სტიპენდიანტი, ასევე ჩართული ვარ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ერასმუს + ის ერთობლივ საგრანტო პროექტში, რომლის თემაა „კურიკულუმის რეფორმა სამოქალაქო განათლებისა და დემოკრატიული პრინციპების განვითარების ხელშეწყობისთვის ისრაელსა და საქართველოში“. აღნიშნულ პროექტში განათლების ფაკულტეტის მხარდაჭერით ჩავერთეთ, შემდეგ მე და ჩემმა კურსელმა დავწერეთ პატარა პროექტი, რომლის ფარგლებშიც უნივერსიტეტის სტუდენტები მიღებულ ცოდნას გაუზიარებენ სკოლის მოსწავლეებს, რაც ხელს შეუწყობს არა მხოლოდ სტუდენტების ცოდნის რეალიზებას, არამედ მოსწავლეების ცოდნის დონის ამაღლებას ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა მდგრადი განვითარება, დემოკრატია, განათლება, პროექტი ასევე ხელს შეუწყობს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და სკოლის მოსწავლეებს შორის ურთიერთობების ჩამოყალიბებას. სკოლებისა და უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობას.

ვმუშაობ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, ვარ გამგეობის ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი.

განათლების ფაკულტეტი, განათლების ადმინისტრირების სპეციალობის მაგისტრანტი შორენა ფაღავა

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს სპეციალისტების მომზადების 82-წლიანი გამოცდილება აქვს, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობისათვის.

სწავლებასა და კვლევას ტრადიციულად ემსახურება ფაკულტეტზე მოქმედი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები. ფაკულტეტი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ერთ-ერთი ლიდერია ბიომრავალფეროვნების, ეკოლოგიური სისტემების, შავი ზღვის ეკოლოგიური და ქიმიური მონიტორინგის, გენეტიკური პოპულაციების კვლევისა და სწავლების თვალსაზრისით.

საბუნებისმეტყველო და ჯანდაცვის მიმართულებას ირჩევს ადამიანი, რომელსაც ლაბორატორიული კვლევა აინტერესებს, მოგზაურობა ხიბლავს ან ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში ყოფნის სურვილი აქვს.

თითქმის ყველა საბუნებისმეტყველო დარგი ექსპერიმენტულია და აქედან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამების მნიშვნელოვანი წილი პრაქტიკულ კურსებს უკავია. ბიოლოგიისა და ქიმიის სასწავლო კურსების ათვისება ფაკულტეტის სასწავლო ლაბორატორიებში მიმდინარეობს. სტუდენტები უშუალოდ მონაწილეობენ ლაბორატორიულ კვლევაში. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ნაწილი კი უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში და რეგიონში მოქმედ სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში სრულდება, რომლებთანაც ფაკულტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები.

გეოგრაფიის, ეკოლოგიისა და ბიოლოგიის სპეციალობების დაუფლება მოგზაურობის გარეშე წარმოუდგენელია. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამები მოიცავს საველე პრაქტიკებსა და ექსპედიციებს. შავი ზღვის პრობლემების შესწავლის მიზნით ტარდება პრაქტიკები შავი ზღვის აკვატორიაში გასვლით. ფაკულტეტზე შეიქმნა დასავლეთ საქართველოს ქრომატოგრაფიული ცენტრი, სადაც სტუდენტი დაეუფლება ქიმიური კვლევის თანამედროვე მეთოდებს.

მედიცინის, სტომატოლოგიისა და ფარმაციის სპეციალობების სტუდენტები დარგობრივ კომპეტენციებსა და უნარ-ჩვევებს საუნივერსიტეტო კლინიკებში იძენენ. ფაკულტეტზე შეიქმნა სამედიცინო განათლებისა და მედიკოსთა პროფესიული განვითარების ცენტრი, სადაც სტუდენტებს საშუალება აქვთ, პრაქტიკული უნარ-ჩვევები მულაჟებისა და სიმულაციების მეთოდების გამოყენებით ჩამოუყალიბდეთ.

ბიოლოგიისა და ქიმიის საბაკალავრო პროგრამებზე სწავლა

უფასოა - სტუდენტთა დაფინანსება სახელმწიფოს მიერ არის უზრუნველყოფილი.

განსაკუთრებული ნაბიჯებია გადადგმული ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით. გარკვეული გამოცდილება ამ მიმართულებით გვქონდა - წლებია ფაკულტეტზე სწავლობენ აზარბაიჯანელი, თურქი, რუსი და უკრაინელი სტუდენტები. ისინი პირველ წელს ეუფლებიან ქართულ ენას და შემდეგ ქართულენოვან პროგრამაზე აგრძელებდნენ სწავლას. 2015 წლიდან ფაკულტეტზე ამოქმედდა დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სრულად ინტეგრირებული და ორიენტირებულია თანამედროვე სტანდარტებზე. აღნიშნულ პროგრამაზე დღეისათვის ჩარიცხულია 200 უცხოელი მოქალაქე. ჩვენ ამ მიმართულებით კვლავ ველოდებით შევსებას. ვცდილობთ, საერთაშორისო ურთიერთობები უფრო მეტად გავამყაროთ. ყაზახეთის ქ. აქტობეს სამედიცინო უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, ორი წლის მანძილზე სამედიცინო განათლების ცენტრის ბაზაზე მომზადებული რუსულენოვანი მოკლევადიანი პროგრამა გაიარა აღნიშნული უნივერსიტეტის 29 მაგისტრანტმა.

წარჩინებული და სოციალურად დაუცველი სტუდენტები უზრუნველყო¬ფილნი არიან სხვადასხვა სახის სახელობითი სტიპენდიით.

საინტერესოა ფაკულტეტზე სტუდენტური ცხოვრება. ისინი აქტიურად არიან ჩართულნი სასწავლო და სამეცნიერო კვლევით პროცესებში, მონაწილეობენ სკოლა-სემინარების, საზაფხულო სკოლების, ვორკ-შოპების,სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში, გარემოს¬დაცვით ღონისძიებებში, შემეცნებით, კულტურულ და სოციალურ პროგრამებში. სტუდენტები მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო საგრანტო პროექტებში. სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. ფაკულტეტს ჰყავს წარმომადგენლები უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობასა და წარმომადგენლობით საბჭოში. სტუდენტები მონაწილეობას ღებულობენ საქველმოქმედო აქციებში. ეწყობა ექსკურსიები და დებატები. ტარდება გამოფენები. ისინი მონაწილეობენ სტუდენტურ გამოკითხვებში, აფიქსირებენ სურვილებსა და მოლოდინებს.

გაცილებით თანამედროვე და კომფორტული გახდა საფაკულტეტო სივრცე. ფოიეში გამოიყო ადგილები, სადაც დაიდგა ინტერნეტით აღჭურვილი კომპიუტერები. სასიამოვნოა, რომ აღნიშნული სივრცეები მთელი დატვირთვით ფუნქციურებს. სრულად განახლდა ზოოლოგიისა და მინერელოგიის კაბინეტები. გაიხსნა განახ¬ლებული სტომატო¬ლოგიური კლინიკა, რომელმაც შეიცვალა ადგილმდებარეობა. ვიმედოვნებ, სწორი მარკეტინგული მიდგომა და კლინიკის თანამედროვე აღჭურვილობა, წარმატებულს გახდის კლინიკის საქმიანობას

ფაკულტეტის სტუდენტები და ახალგაზრდა მეცნიერები გაცვლითი პროგრამებით იმყოფებიან საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში (ნორვეგიაში, თურქეთის რესპუბლიკაში, საბერძნეთში, გერმანიაში, პორტუგალიაში, უკრაინაში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში).

როგორც ჯანდაცვის, ასევე საბუნებისმეტყველო მიმართულების სპეციალობათა კურსდამთავრებულები დასაქმებულები არიან:

სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიებში, ბოტანიკურ ბაღებში, აკვარიუმში, დელფინარიუმში, ზოოპარკში, ბუნების დაცვის ორგანიზაციებში, დაცულ ტერიტორიებში (ნაკრძალებში, ეროვნულ პარკებში), წარმოება-დაწესებულებების ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამსახურებში, ეკოლოგიური მონიტორინგის სამსახურებში, გარემოს დაცვის ეროვნულ სამსახურებში, სამედიცინო კლინიკებში, აფთიაქებში, ფარმაცევტულ კომპანიებში, ქიმიურ-ფარმაცევტულ და კვების მრეწველობის საწარმოებში, სამედიცინო ლაბორატორიებში, საბაჟო-საკარანტინო სამსახურებში, პროფილაქტიკური მედიცინის მიმართულებით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში.

ჩვენი ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა კომპეტენციები აღიარებულია უცხოეთშიც. ისინი პროფილის შესაბამისად დასაქმებული არიან უკრაინაში, გერმანიაში, საბერძნეთში, რუსეთში, თურქეთში, გაერთიანებულ ემირატებში.

ახალი საბაზო კლინიკა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიის დეპარტამენტი ამზადებს დიპლომირებულ სტომატოლოგებს. ასევე ხორციელდება დიპლომშემდგომი განათლების გრძელვადიანი და შემოკლებული სარეზიდენტო პროგრამები თერაპიულ სტომატოლოგიაში, ორთოპედიულ სტომატოლოგიაში, უახლოეს პერიოდში დაემატება ქირურგიული სტომატოლოგიის პროგრამაც. წლების განმავლობაში სასწავლო პროცესის კლინიკური ნაწილი ძალზედ შეზღუდულად მიმდინარეობდა სასწავლო ბაზის არასრულყოფილების გამო. ამ მიმართულებით გვეხმარებოდნენ აფილირებული სასწავლო კლინიკური ბაზები.

უკვე ფუნქციონირებს ახალი საუნივერსიტეტო თანამედროვე სტანდარტების, უახლესი აპარატურითა და დანადგარებით აღჭურვილი კლინიკა თერაპიული, ორთოპედიული და ქირურგიული კაბინეტებით, სასტერილიზაციოთი და ვიზიოგრაფიული კვლევის კაბინეტით უნივერსიტეტის მესამე კორპუსში, პირველ სართულზე. აქვეა განთავსებული სასწავლო ოთახები აღჭურვილი მულაჟებით, სადაც სტუდენტები ითვისებენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს საფანტომო სწავლების ფორმით.

მომავალი გეოგრაფი

მე ავირჩიე ბსუ, აირჩიე შენც!

„დავამთავრე ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ბათუმის 1-ლი საჯარო სკოლა. სწორედ სკოლა იყო ის ადგილი, სადაც მნიშვნელოვანი ცოდნა შევიძინე. ვფიქრობ, სტუდენტური წლები არანაკლებ ნაყოფიერი იქნება ჩემს ცხოვრებაში. უნივერსიტეტში ჩავირიცხე 100%-იანი გრანტით. ეს არ ყოფილა მოულოდნელი, რადგან დიდი შრომა გავწიე ამისათვის. სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე. იმედი მაქვს უნივერსიტეტში ცალკეულ სემესტრს ასევე წარმატებულად დავამთავრებ.

ჩემი მომავალი პროფესია - გეოგრაფია ჩემი სურვილით ავირჩიე. სკოლის პერიოდში გეოგრაფია იყო ერთადერთი საგანი, რომელსაც ყოველთვის სიხარულით ვსწავლობდი, სხვადასხვა თემაზე ვკითხულობდი დამატებით მასალებს და ა.შ. ბავშვობაშივე მიტაცებდა გლობუსები, ატლასები, ხშირად ვათვალიერებდი ფერად-ფერად რუკებს, რადგან ეს ყველაფერი ძალიან მაინტერესებდა. გეოგრაფიასთან მაკავშირებს ასევე გარკვეული წარმატებებიც. მაგალითად, ვარ ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის გამარჯვებული გეოგრაფიაში, ასევე, საატესტატო გამოცდაზე ავიღე სუფთა ათი ქულა. მსგავსი შედეგი იმ წელს საქართველოში საკმაოდ ცოტა მოსწავლეს ჰქონდა. სკოლის პერიოდში ვმონაწილეობდი უამრავ პროექტში. ვიყავი ბათუმის ახალგაზრდული საკრებულოს თავმჯდომარე, მოხალისე „ლიდერთა სახლში“. მართალია, რაც უნივერსიტეტი დაიწყო, არცერთ პროექტში მიმიღია მონაწილეობა, მაგრამ, ვფიქრობ, წინ უფრო საინტერესო წლები მელოდება...

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ვფიქრობ, ჩემი საქმის კარგი სპეციალისტი ვიქნები. ზოგადად, საბუნებისმეტყველო მიმართულება დღეისათვის ჩვენში არ არის პრესტიჟული, შესაბამისად, კადრების დეფიციტია ამ სფეროში... ეს ვითარება ორმაგად ზრდის ჩემს მოტივაციასა და პასუხისმგებლობას, ამიტომ მაქსიმალურად შევეცდები კარგი განათლება მივიღო და წარმატებული გეოგრაფი გავხდე...“

დავით ბაკურაძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტი.

ტექნოლოგიური ფაკულტეტი

ორი წლის წინ ტექნოლოგიური ფაკულტეტის არსებობის მანძილზე ყველაზე მასშტაბური სარემონტო სამუშაოები ჩატარდა. განახლდა კაბინეტ-ლაბორატორიები, შენობა აღიჭურვა თანამედროვე ტექნოლოგიებით და რაც მთავარია, ფუნქციონირება დაიწყო მსოფლიო მნიშვნელობის ლაბორატორია ფაბლაბმა, ლაბორატორია ჩართული იქნა ფაბლაბების მსოფლიო ქსელში. იგი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში გაიხსნა. ფაბლაბი ხელს შეუწყობს ინოვაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში ბიზნესისა და აკადემიური სექტორის დაახლოებას, გააღრმავებს სტუდენტების სამუშაო გამოცდილებას და აამაღლებს მათი დასაქმების შანსს. თითქმის ერთწლიანი ფუნქციონირების მანძილზე ფაბლაბთან ერთად ფაკულტეტზე არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა. ლაბორატორიაში დამზადებულმა ექსპონატებმა რეგიონის გარეთ არსებულ მნიშვნელოვან გამოფენებშიც მიიღეს მონაწილეობა და მაღალი შეფასებებიც დაიმსახურეს. ფაკულტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი რეგიონის წამყვან საინჟინრო და აგრარული მიმართულების კომპანიებთან, რომლის საფუძველზეც

ბსუ-ს სტუდენტები აგროსერვის ცენტრში ანაზღაურებად სტაჟირებას გაივლიან

სტუდენტები გადიან საწარმოო პრაქტიკასა და სტაჟირებას შემდგომი დასაქმების პერსპექტივით.

ის აბიტურიენტები, რომლებიც არჩევანს ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე გააკეთებენ, მნიშვნელოვან და ღირებულ ნაბიჯს გადადგამენ.

ტექნოლოგიებისა და ტექნიკის სფეროში მიღებული განათლება უპირველეს ყოვლისა, დასაქმების შესაძლებლობას, ინოვაციურ პროექტებში მონაწილეობას და მიღებული ცოდნის რეალიზებას გულისხმობს როგორც ქართულ, ასევე უცხოურ კომპანიებსა თუ უნივერსიტეტებში.

ფაკულტეტზე სწავლა ხორციელდება შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

საბაკალავრო:

აგროეკოლოგია;

აგროინჟინერია;

აგრონომია (აგროტექნოლოგია, აგროეკოლოგია);

არქიტექტურა;

სამთო და გეოინჟინერია;

მშენებლობა;

სასურსათო ტექნოლოგია;

სატყეო საქმე;

ტელეკომუნიკაცია;

ტრანსპორტი

სამაგისტრო:

აგრარული ტექნოლოგიები;

ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიები;

სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა;

ტელეკომუნიკაცია

სადოქტორო:

აგროეკოლოგია, მცენარეთა დაცვა

სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა.

ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი გიზო ფარცხალაძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიანტია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ, 2016 წლის 22 ოქტომბერს გამოაცხადა ვაკანსიები საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტიპენდიანტების ასარჩევად სპეციალობების მიხედვით. მათ შორის იყო გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების განყოფილება სპეციალობით „გამოყენებითი მექანიკა-კატასტროფების რისკის კვლევა“. სწორედ ამ მიმართულებაში მიიღო მონაწილეობა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა გიზო ფარცხალაძემ და გაიმარჯვა კიდეც. იგი 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, 3 ქართულენოვანი სახელმძღვანელოსა და გამოგონებაზე პატენტების ავტორია, აგრეთვე — საერთაშორისო საგრანტო პროექ-

ტების - ISTC, TEMPUS, ERAMUS MUNDUS, ERASMUS+(ამჟამად მოქმედი პროექტია) ... პროექტებში გამარჯვებული და მონაწილე.

„მე წარვადგინე სამეცნიერო კვლევები და ჩემი მიდგომები მეცნიერებათა აკადემიაში „გამოყენებითი მექანიკა-კატასტროფების რისკის კვლევის“ მიმართულებით გამოცხადებულ პოზიციაზე და ეს მიდგმები მისაღები აღმოჩნდა მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებისა და აკადემიის წევრ-კორესპონდენტებისათვის. ამასთან მინდა გითხრათ, რომ ჩემი არჩევა ამ სპეციალობით - არის უაღრესად საპასუხისმგებლო და საპატიო საქმე; სტიპენდიანტად ჩემი არჩევის საკითხში გადამწყვეტი როლი ითამაშა მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების განყოფილებამ და შემდეგ, რა თქმა უნდა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ყველა წევრმა“.

ვულოცავთ ბატონ გიზოს ამ დიდ წარმატებას და ვუსურვებთ შემდგომ ნაყოფიერ და შემოქმედებით საქმიანობას.

ლაბორატორია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე 2015 წელს გაიხსნა.,,ფაბლაბი“ თანამედროვე ციფრული ტექნიკით: 3D პრინტერებით, ლაზერული მჭრელებით და უახლესი დაზგა-დანადგარებით აღჭურვილი ლაბორატორიაა, რაც სტუდენტებსა და ნებისმიერ მსურველს საკუთარი იდეისა და პროექტის განხორციელების საშუალებას აძლევს.

ინოვაცია ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტების მიერ

ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებმა: გიორგი ბობოხიძემ, დიმიტრი მახარაძემ და გიორგი მოწყობილმა ინოვაციური ელექტრონული ავტოფარეხი შექმნეს, რომელსაც ანალოგი არ აქვს. სტუდენტებმა გასული წლის მიწურულს იგი სასტუმრო „შერატონში“ გამართულ „სამშენებლო მასალებისა და დეველოპერების“ მე-6 საერთაშორისო კონფერენციაზე წარადგინეს, რამაც ვიზიტორთა მოწონება და სპეციალური სერტიფიკატი დაიმსახურა.

პროექტის არსზე დაწვრილებით იდეის ერთ-ერთი ავტორი გიორგი ბობოხიძე გვესაუბრება:

— გიორგი, გთხოვთ გვესაუბროთ პროექტის შესახებ. კონკრეტულად რა მიზანს ემსახურება ის?

— ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური ავტოფარეხის პროექტირება წარმოადგენს მცირე კომპაქტურ, გადასატან და დასაკეც ავტოფარეხს, რომლის ანალოგიც მსოფლიოში არაა. დაკეცილი ავტოფარეხი 4.4 კვადრატულ მეტრს მოიცავს. იქედან გამომდინარე, რომ იგი კაპიტალურ შენობად არ მიიჩნევა, არ საჭიროებს ჩამაგრებას. შესაბამისად, მისი დადგმა შესაძლებელია საცხოვრებელი სახლის წინ გამოყოფილ ავტოპარკინგზე. იგი მუშაობს მზის ენერგიაზე და დისტანციურად იმართება. ერთ ადამიანს უპრობლემოდ შეუძლია გადააადგილოს ავტოფარეხი. იგი ავტომობილს იცავს ატმოსფერული ნალექებისგან, ფიზიკური დაზიანებისაგან. დამზადებულია მყარი ლითონით აეროდინამიკული დიზაინის და დამატებითი სარქველების მეშვეობით. ძლიერი ქარის შემთხვევაში შეუძლებელია მისი გადაადგილება.

— ვის გაუჩნდა პროექტის იდეა

— ბათუმში, თბილისსა და დიდი ქალაქებში 2004-2005 წლიდან აიკრძალა ავტოფარეხების აშენება, უამრავი ავტომობილი დარჩა ღია ცის ქვეშ. ჩვენი მიზანი იყო შეგვექმნა ავტოფარეხი, რომელიც არ იქნებოდა დიდი, უმოძრავო და არ მიეკუთვნებოდა კაპიტალურ შენობას. სამმა სტუდენტმა ერთობლივი მუშაობის შედეგად შევქმენით ეს პროექტი. 2016 წლის ზაფხულში მოვიპოვეთ საავტორო უფლება (პატენტი).

— გიორგი, სამომავლოდ რას აპირებთ?

— ამ პროექტზე მუშაობას კვლავაც ვაგრძელებთ და სამომავლოდ ვაპირებთ მეტი ინოვაციური იდეა განვახორციელოთ.

ხატია რომანაძე

ტურიზმის ფაკულტეტი

ჩვენთვის განვითარება და ახალ სიმაღლეებზე ასვლა სტრატეგიული განვითარების ძირითადი ორიენტირია. ერთიანი ეროვნული გამოცდების ანალიზით წელს საქართველოში პირველები ვართ. ცნობილი ფორმულა „მოპოვება ადვილია, შენარჩუნება ძნელი“ ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია, ამიტომ ვცდილობთ არ დავთმოთ ასპარეზი. დაგეგმილი გვაქვს ძალიან ბევრი სიახლე როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პროფესორ-მასწავლებლებისთვის. დავიწყებთ იმით, რომ ლექციების წასაკითხად მოწვეული გვყავს როგორც ადგილობრივი პროფესორ-მასწავლებლები, ასევე უცხოელი ლექტორები და ექსპერტები. გარდა ამისა, ფაკულტეტმა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად, ინტენსიურად დაიწყო მუშაობა უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან და სხვა საერთაშორისო სასწავლო-საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გასაღრმავებლად. ტურიზმის ფაკულტეტი დღემდე აქტიურად თანამშრომლობს და გაცვლით პროგრამებს ახორციელებს შვერინის (გერმანია), ტელემარკისა (ნორვეგია) და ებერსვალდის უნივერსიტეტებთან (გერმანია), ჰამბურგის ევროპის ბიზნესკოლეჯთან (გერმანია). თანამშრომლობის ფარგლებში დღეს-დღეისობით მოწვეული გვყავს და ფაკულტეტზე პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა ოთხი უცხოელი სპეციალისტი. სხვადასხვა უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის საშუალებით უკვე ამოქმედდა ერთობლივი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამები. 2015 წელს წარმატებით გაიარა აკრედიტაცია ტურიზმის ფაკულტეტის ახალმა სამაგისტრო პროგრამამ „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი“, მისანიჭებელი კვალიფიკაცია „ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში“. აღნიშნული პროგრამა 2015-2016 სასწავლო წელს წარმატებით განხორციელდა. 2015-2016 სასწავლო წელი ტურიზმის ფაკულტეტისათვის წარმატებული იყო რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულებით:

ტურიზმის ფაკულტეტი აგრძელებს ინოვაციურ საქმიანობას, სტუდენტებისათვის და პროფესორ-მასწავლებლებისათვის მაქსიმალურად ცდილობს უზრუნველყოს მიმზიდველი სასწავლო გარემო.

ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტები სასწავლო პრაქტიკას გერმანიაში გაივლიან

ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა გერმანიაში

საერთაშორისო ტურისტული გამოფენა „ექსპობათუმი - 2016“

სტუდენტები სასწავლებლად ნორვეგიასა და ყირგიზეთში გაემგზავრებიან

პროფესორი გერალდ ვეტცელი - მასტერკლასი ტურიზმის სპეციალობის სტუდენტებისთვის

ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტები სასწავლო პრაქტიკით გერმანიაში გაემგზავრნენ

საზაფხულო სკოლა ნორვეგიაში

წარმატებული სტუდენტი ნორვეგიიდან

მე ავირჩიე ბსუ, აირჩიე შენც!

„ბსუ-ში სწავლის წლებმა მნიშვნელოვნად განაპირობა გავმხდარიყავი უფრო მეტად დამოუკიდებელი და პასუხისმგებლობიანი ამა თუ იმ საქმისადმი. ტურიზმის ფაკულტეტის გაცვლითი პროგრამების მეშვეობით არაერთხელ მომეცა უცხოეთში წასვლის შესაძლებლობა, რაც ჩემ ცხოვრებაში ერთ-ერთი საკმაოდ საინტერესო ეტაპი იყო. მივიღე უდიდესი სამუშაო გამოცდილება, შევიძინე ბევრი ახალი მეგობარი როგორც უცხოეთში, ასევე ჩვენს ქალაქში. თუმცა ჩემმა ფაკულტეტმა და უნივერსიტეტმა იზრუნა იმაზეც, რომ მენახა საქართველოს არა ერთი ულამაზესი კუთხე.

გამომდინარე იქედან, რომ მოგზაურობა და თავგადასავლები ჩემი ცხოვრების ნაწილია, არასოდეს ვუშვებ ხელიდან ახალი ადგილების ნახვის საშუალებას. აქტიურად ვარ ჩართული უცხოურ საგანმანათლებლო ღონისძიებებში. მეორე კურსის ბოლოს ორთვიანი პრაქტიკა გავიარე გერმანიაში, თავისუფალ დროს კი ვმოგზაურობდი, ხოლო

მესამე კურსის ბოლოს ვმონაწილეობდი სამხრეთ აღმოსავლეთ ნორვეგიის უნივერსიტეტში გამართულ საზაფხულო სკოლაში, პროექტის „მდგრადი ტურიზმი: სოფლად მეწარმეობა და კულტურული მემკვიდრეობა“ ფარგლებში. ვარ საკმაოდ წარმატებული სტუდენტი და საუნივერსიტეტო სტიპენდიებთან ერთად მიღებული მაქვს შემდეგი სახელობითი სტიპენდიები: ლუკა ასათიანის სახელობის, ვახუშტი ბატონიშვილის სახელობის და სასტუმრო „ჰილტონ ბათუმის“ სტიპენდია, რომელიც ჩატარებული კონკურსის — „როგორ ვაქციოთ ბათუმი აქტიური ტურისტული დანიშნულების ადგილად“ საფუძველზე დამენიშნა. ამჟამად ვიმყოფები ერთი თვით ნორვეგიაში და ვმუშაობ საბაკალავრო ნაშრომზე. ვიმედოვნებ, რომ ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ ბსუ-ს მაგისტრანტი გავხდები“.

ტურიზმის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი მეგი ბეჟანიძე

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი ეკონომიკური განათლების მძლავრი ცენტრია, რომელიც ვითარდება სამი ძირითადი მიმართულებით - განათლება, მეცნიერება და სასწავლო პრაქტიკა. გასულმა ერთმა წელმა გამოკვეთა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ძლიერი მხარეები. ესენია:

1. პროფესორ–მასწავლებელთა სამეცნიერო–პედაგოგიური პოტენციალი; 2. საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვნება სწავლების სამივე საფეხურზე; 3. პროფესორ–მასწავლებელთა და სტუდენტთა აკადემიური მობილობის, მათ შორის საერთაშორისო, გამოცდილება; 4. სასწავლო პროცესის საინფორმაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა; 5. სტუდენტთა და პროფესორ–მასწავლებელთა მაღალი პოზიციები საერთო საუნივერსიტეტო რეიტინგებში; 6. საერთაშორისო თანამშრომლობა; 7. სადისერტაციო საბჭო; 8. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი; 9. პროფესიული სკოლების არსებობა; 10. სახელმწიფო პროგრამული დაფინანსება. გასულ წელს რადიკალურად განახლდა, ფაქტიურად თავიდან შეიქმნა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია სტუდენტის მოტივირებული და აქტიური პოზიცია, პასუხისმგებლობის გრძნობა, შემოქმედებითი აქტივობა, მისი სწრაფვა პროფესიის დაუფლებისაკენ, საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრებისაკენ. ფაკულტეტი უზრუნველყოს ამ მისწრაფების წახალისებას, წარმართვასა და განვითარებას. ჩვენი ამოცანაა სტუდენტებს შეუქმნათ სწავლისა და შემოქმედებითი საქმიანობის ისეთი პირობები, რომ შეძლონ საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოვლენა.

სტუდენტებს სახელობითი სტიპენდიები დაენიშნათ

ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა

მაგისტრანტის ხედვა

მე ავირჩიე ბსუ, აირჩიე შენც!

„ჩემთვის ჩემი უნივერსიტეტი ნიშნავს განვითარებისკენ მუდმივ მზადყოფნას, მუდმივ სიახლეებს, საოცარ სტუდენტობას, მეგობრებს და თავგადასავლებს.

როცა ბაკალავრიატში დავასრულე სწავლა და ერთიან სამაგისტრო გამოცდებს ვაბარებდი, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ სხვა უნივერსიტეტს მივაშურებდი. ბუნებრივია, ბევრი არ მიფიქრია. სწავლა ისევ აქ გავაგრძელე.

მთავარი — რაც მე ჩემმა უნივერსიტეტმა მომცა, არის ის, რომ დღეს მე თავს საზოგადოების სრულუფლებიან წევრად აღვიქვამ და ვიზიარებ ჩემ წილ პასუხისმგებლობას. როცა უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი, ერთადერთი მიზანი რაც მქონდა, საკუთარი ცხოვრების შეცვლა იყო უკეთესობისკენ. ალბათ ბევრისთვის ბსუ ჩვეულებრივი უნივერსიტეტია, ჩემთვის კი წარმატების ფორმულაა. ბსუ არის ჩემი დასაქმების საწინდარი. ჩემი პროფესიით ვმუშაობ და სამუშაო პროცესში აქტიურად ვიყენებ უნივერსიტეტში დაგროვილ გამოცდილებას.

სასწავლო პროცესი არასდროს ყოფილა დამღლელი და მოსაბეზრებელი.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი გამოირჩვა სტუდენტების მიმართ არაჩვეულებრივი დამოკიდებულებით, აგრეთვე აქვს სწავლების თანამედროვე მეთოდები და პროგრამები, რომელებიც ყოველთვის მაძლევდა საშუალებას არამარტო უნივერსიტეტში, არამედ მის გარეთაც ვყოფილიყავი კონკურენტუნარიანი. „სტუდენტური ბიზნეს ოლიმპიადა“ IFES (international foundation for electoral systems) მიერ ორგანიზებული არაერთი პროექტი და შეხვედრა, JA (Junior Achievement Georgia) ორგანიზებული ტრენინგი, „ფინანსური წიგნიერება“, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისა და ორგანიზაცია „მოქალაქეს“ მიერ ორგანიზებული პროქტი „სტუდენტები თვითმმართველობისთვის“, — ეს იმ პროექტების მცირე ჩამონათვალია, რომლებშიც აქტიურად ვღებულობდი მონაწილეობას. ვიყავი ფინალისტი და გამარჯვებული.

მივიღე გრანტი IFES-ისგან, ჩავატარე ტრენინგები მაღალმთიან აჭარაში, ქედაში (ჩემ მშობლიურ მუნიციპალიტეტში) ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მიზნით.

2014 წელს ლიდერების პროგრამით the open world (ღია სამყარო), რომელიც ორგანიზებული იყო ამერიკული საბჭოების და ამერიკის კონგრესის მიერ, ვიმყოფებოდი ამერიკაში, ჯორჯიის შტატ ქალაქ სავანაში დელეგატის სტატუსით. ასევევ სტაჟირება გავიარე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

ამჟამად დასაქმებული ვარ პროფესიით. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტში ვმუშაობ“.

მელანო აბაშიძე, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ფინანსებისა და საბანკო საქმის მაგისტრანტი

შემოსავლების სამსახურმა სტუდენტებს უმასპინძლა

ბადრი გეჩბაია - ჩერნიგოვის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი

საჯარო ლექცია სოციალურ პოლიტიკაში

ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ფიზიკა–მათემატიკის ფაკულტეტი პრაქტიკულად დასაბამს იღებს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დაარსებიდან, თუმცა ამ სახელწოდებით ის 2013 წლიდან ფუნქციონირებს, როდესაც ფიზიკის, მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა დარგობრივი დეპარტამენტების აკადემიური პირების ძალისხმევით და რა თქმა უნდა, უნივერსიტეტის რექტორატის მხარდაჭერით, მაღალი ტრადიციების მქონე ფიზიკა–მათემატიკის ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნა ფიზიკა–მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

ფაკულტეტის სტრუქტურულ ერთეულებს მიეკუთვნება ფიზიკის, მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტები, რომლებიც ორგანიზაციულად უზრუნველყოფენ აკადემიურ და სამეცნიერო პროცესებს შესაბამის დარგებში. ფაკულტეტზე ხორციელდება 4 საგანმანათლებლო პროგრამა სწავლების პირველ საფეხურზე, 3 საგანმანათლებლო პროგრამა სწავლების მეორე საფეხურზე, 3 საგანამანთლებლო პროგრამა სწავლების მესამე საფეხურზე, აგრეთვე 2 უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი და სტუდენტები რეგულარულად მონაწილეობდნენ და ახლაც მონაწილეობენ რაზმუს უნდუს, თემპუს და სხვა გაცვლით პროგრამებში, მიმდინარე წელსაც გაცვლით პროგრამაში მონაწილეობას მიიღებს 2 აკადემიური პირი და 5 სტუდენტი. აქვეყნებენ სამეცნიერო შრომებს მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში. დღემდე გამოცემულია 30-მდე სახელმძღვანელო.

ფაკულტეტზე დაცული იქნა 6 სადოქტორო დისერტაცია, 3 მათგანი იმყოფება დაცვის რეჟიმში. ფაკულტეტის აკადემიური პირები ამუშავებენ, ახორციელებენ და აქტიურად არიან ჩართული სამეცნიერო საგრანტო პროექტებში. 2006 წლიდან დღემდე შესრულდა და სრულდება 5 მსხვილბიუჯეტიანი სამეცნიერო საგრანტო პროექტი, რომელშიდაც ჩართულია 20-მდე მკვლევარი, დოქტორანტები და მაგისტრანტები, ამჟამად მიმდინარეობს რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული 2 საგრანტო პროექტის განხორციელება.

ფაკულტეტის მიზნები, სტრატეგიული გეგმა და დასახული შედეგები უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს უნივერსიტეტის მისიის ნაწილს და განსაზღვრავს დღევანდელ მეცნიერულ–ტექნოლოგიურ პროგრესს და იმ ტექნოგენურ რეალობას, რომელშიდაც ყოველდღიურად გვიხდება ურთიერთობა. ფაქტია, რომ ფაკულტეტი აერთიანებს მეცნიერების ყველაზე ფუნდამენტურ დარგებს: ფიზიკას, მათემატიკას, კომპიუტერულ მეცნიერებებს. ისიც ფაქტია, რომ სწორედ ამ დარგთა გონივრული სინთეზი უზრუნველყოფს გამოყენებითი მეცნიერებების განვითარებას, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ვისაუბროთ ზოგადად სოციალურ–ეკონომიკურ პოგრესსზე.

ფაკულტეტის ადმინისტრაცია ძალ-ღონეს არ იშურებს, რათა უზრუნველყოს სათანადო საუნივერსიტეტო გარემო. საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების, სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების, სასწავლო პროცესისა და შრომის ბაზრის ანალიზი და კოორდინირება წარმოადგენს ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების უმნიშვნელოვანეს საფუძველს. ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტს აქვს ამბიცია მოამზადოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნებზე ორიენტირებული, მაღალ-კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი სპეციალისტები.

გაზომვათა მონაცემების გრაფიკული ვიზუალიზაცია პროგრამირებადი მიკროკონტროლერის ARDUINO-ს პროექტის მაგალითზე

პროგრამირებადი მიკროკონტროლერების პრაქტიკული გამოყენების დროს, როდესაც პროექტი დაკავშირებულია სხვადასხვა პარამეტრების გაზომვასთან, მნიშვნელოვანია მიღებული შედეგებისა თუ გაზომვების შედეგების ვიზუალიზაცია. კონკრეტულად, არდუინოს გამოყენების შემთხვევაში რათქმაუნდა გათვალისწინებულია რიცხვითი მონაცემების მონიტორზე გამოტანა, მაგრამ ცხადია, რომ მეტი თვალსაჩინოებისათვის პრაქტიკულად უფრო მოსახერხებელია მონაცემების გრაფიკული სახით წარმოდგენა. პრობლემის გადაწყვეტისათვის ჩვენ შევქმენით ისეთი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ჩვენს მიერ არდუნოს დაფის გამოყენებით კონსტრუირებული მოწყობილებისაგან მიღებულ 5 პარამეტრს მყისიერად, პირდაპირ გამოსახავს მონიტორზე გრაფიკულად. ამასთანავე მიღებული პარამეტრები შეინახება ფაილად მისი შემდგომში საჭიროების შემთხვევაში გამოყენებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ გრაფიკულად გამოსატანი პარამეტრების რაოდენობა შეზღუდული არ არის და მარტივად შეიძლება გაიზარდოს საჭირო რაოდენობამდე.

პროგრამა შექმნისათვის ძირითადად გამოყენებულია Java Development Kit (JDK) ბიბლიოთეკით RXTX. იგი განთავსებულია თავისუფალი ჩამოტვირთვისათვის ბსუ საიტზე: ბსუ.ედუ.გე

ელზა ჯინჭარაძე

ულტრაბგერითი მეგზური უსინათლოთათვის მიკროკონტროლერის ბაზაზე

აპარატი განკუთვნილია უსინათლო ადამიანებისათვის და ეხმარება მათ შენობასა და შენობის გარეთ გადაადგილებაში. აპარატის საშუალებით უსინათლო ადამიანი აღმოაჩენს მის გარშემო 4 მეტრის რადიუსში მდებარე დაბრკოლებას. იგი გამოსცემს თანმიმდევრულ ბგერით სიგნალებს დაბრკოლებამდე მანძილის შესაბამისად. რაც უფრო ახლოსაა დაბრკოლება მით უფრო მცირეა ხელსაწყოს მიერ გამოცემულ ბგერებს შორის შეყოვნება, ანუ მით უფრო ხშირად გამოიცემა ბგერითი სიგნალები. აპარატზე გათვალისწინებულია ყურსასმენების მიერთება, ამ შემთხვევაში გამოირთვება ხმამაღლამოლაპარაკე და ბგერითი სიგნალები მხოლოდ ყურსასმენებში მოისმინება. აპარატი მცირე ზომისა და მასისაა, რაც საშუალებას იძლევა ადამიანმა ატაროს იგი ჯიბეში, გაიკეთოს მაჯაზე ან დაამაგროს უსინათლოთა ჯოხზე.

გიორგი გორგილაძე

ხელსაწყო აგრარული გაზომვებისათვის პროგრამირებადი მიკროკონტროლერების ბაზაზე

ხელსაწყო განკუთვნილია მიწისა და ჰაერის პარამეტრების გაზომვისათვის. კერძოდ მისი საშუალებით შესაძლებელია შემდეგი პარამეტრების გაზომვა:



1. მიწის ტენიანობა
2. მიწის ტემპერატურა ორ სხვადასხვა სიღრმეზე
3. ჰაერის ტემპერატურა
4. ჰაერის ტენიანობა

გაზომვების შედეგების ათვლა შესაძლებელია როგორც უშუალოდ ხელსაწყოს დისპლეიდან ასევე კომპიუტერის ეკრანზე. ამასთანავე კომპიუტერის ეკრანიდან მონაცემები შეიძლება აითვალოს როგორც ხელსაწყოს კომპიუტერის შ პორტთან მიერთებით, ასევე დისტანციურად 5-მდე ხელსაწყოდან ერთდროულად. ამ შემთხვევაში აღნიშნული ტიპის რამოდენიმე ხელსაწყო შეიძლება განთავსდეს მიწის სხვადასხვა პერიმეტრზე, ხოლო გაზომილი პარამეტრები გადაეცემა კომპიუტერთან მიერთებულ მთავარ ხელსაწყოს, რომელიც მოაგროვებს რა გაზომილ პარამეტრებს მიაწოდებს მათ კომპიუტერს მათი შემდგომი ანალიზისათვის.

ხელსაწყოს საშუალებით უშუალოდ იზომება მიწის ტენიანობა, რომელიც განმსაზღვრელია მიწის მორწყვის აუცილებლობასა. ამასთანავე შესაბამისი სენსორის ჩვენების დამოკიდებულება დროზე შეიძლება გამოყენებული იქნეს მიწის პარამეტრების განსაზღვრისათვის. მიწის ტემპერატურის გაზომვები სხვადასხვა სიღრმეზე ასევე საინტერესო უნდა იყოს როგორც ერთ-ერთი პარამეტრი მოსავლიანობის განსაზღვრისათვის. ამასთანავე ჰაერის ტემპერატურა და ტენიანობა ზემოაღნიშნულ პარამეტრებთან ტანდემში საინტერესო უდა იყოს აღნიშნული სფეროს მკვლევარებისათვის.

ხელსაწყო განკუთვნილია როგორც აგრარულ სექტორში დასაქმებული პირებისათვის-ფერმერებისათვის, სასათბურე მეურნეობების მფლობელებისათვის და ასევე მკვლევარებისათვის, რომლებიც იკვლევენ მიწის პარამეტრებს და აგროკულტურულ მცენარეებს მეცნიერულ თუ პრაქტიკულ დონეზე.

თამარ კონცელიძე

იურიდიული ფაკულტეტი

იურიდიული ფაკულტეტი თავისი დაარსებიდან 26 წელს ითვლის და ამ მოკლე ისტორიულ პერიოდში მან შეძლო თავისი სახელის დამკვიდრება როგორც რეგიონის, ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით. ფაკულტეტი საუკეთესო განათლებას იძლევა და სწორად ვითარდება, იგი პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს. ფაკულტეტს გააჩნია ძლიერი მხარეები: 1. მაღალრეიტინგული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები (მაგალითად, სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოში სხვა უნივერსიტეტების სამართალმცოდნეობის პროგრამებთან შედარებით პირველ ადგილზეა, ხოლო ზოგადად სხვა პროგრამებთან შედარებით მესამე ადგილზე). 2. კურსდამთავრებულთა დასაქმების კარგი მაჩვენებელი; 3.სწავლების პროცესში თეორიის პარალელურად აქცენტის გადატანა სწავლების პრაქტიკულ მხარეებზე (ფაკულტეტზე ფუნქციონირებს სასამართლო საიმიტაციო დარბაზი, იურიდიული კლინიკა, კრიმინალისტიკის კაბინეტი); 4. პროფესორ-მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვა(მაგალითად ამჟამად ჩვენი ასოცირებული პროფესორი მალხაზ ნაკაშიძე კვლევითი მიზნით, გრანტის ფარგლებში ექვსი თვით იმყოფება ამერიკაში, ბოსტონის უნივერსიტეტში); 5. უნივერსიტეტში ლექტორ-მასწავლებლებად ახალგაზრდა თაობის მოზიდვა, რომლებსაც შეუძლიათ ინგლისურ ენაზე ლექციების წაკითხვა; 6.ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში სტუდენტთა მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში და უცხოეთში სწავლა(ამ პერიოდისათვის ჩვენი შვიდი სტუდენტი სწავლობს უცხოეთში ერთი სემესტრით); 7.ინგლისურენოვანი საზაფხულო სკოლები(გასულ წელს საზაფხულო სკოლაში მონაწილეობას იღებდა 17 ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები); 8. უცხოეთის და საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან ლექტორების მიერ საჯარო ლექციების წაკითხვა; 9. სასწავლო პროცესის საინფორმაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა; 10. მთლიანად მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება.

ზოგადად იურიდიულ ფაკულტეტზე შექმნილია ყველა პირობა, რომ სტუდენტმა საკუთარი თავის სრული რეალიზება მოახდინოს და მიიღოს კარგი განათლება, ასევე ჩამოყალიბდეს იმ პიროვნებად, რომელიც პატივს სცემს თანამედროვე კაცობრიობის მიერ საყოველთაოდ აღიარებულ ღირებულებებს.

იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში გამართული შეჯიბრის ფინალისტები გახდნენ

სამეცნიერო სიმპოზიუმი უკრაინაში სისხლის სამართლის ჰუმანიზაციის საკითზე

ბსუ-ში საერთაშორისო საზაფხულო სკოლა გაიხსნა ევროპეიზაციის საკითხებზე კავკასიაში

შეხვედრა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) წარმომადგენლებთან

კაბინეტ-ლაბორატორიები იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის

ხშირად თეორიული ცოდნა გამოუსადეგარია თუ ადამიანმა არ იცის მისი რეალურ ცხოვრებაში გამოყენება. ამიტომ უნივერსიტეტები ცდილობენ სტუდენტებს მისცენ საშუალება სხვადასხვა მიმართულებით განივითარონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს ამ მიზნის მისაღწევად არაერთი საშუალება აქვს, მაგალითად კრიმინალისტიკის ლაბორატორია,



იურიდიული კლინიკა

ბსუ-ს სტუდენტების იმიტირებული სასამართლო პროცესი ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით

საიმიტაციო სასამართლო დარბაზი და იურიდიული კლინიკა.

ომარ ფარტენაძე, კრიმინალისტიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელი: „კრიმინალისტიკის ლაბორატორიის შექმნა იყო ჩემი იდეა, რომელსაც უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მხარი დაუჭირა. 3 წლის წინ გამოცხადდა ტენდერი და სასწავლებლისთვის შესაბამისი აღჭურვილობა შევიძინეთ. კრიმინალისტიკის საგნის შესწავლის პროცესში ლაბორატორიის გამოყენება აუცილებელია, ვინაიდან სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ საშუალება გამოიმუშაონ და დახვეწონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები, შეიძინონ გამოცდილება, რათა გახდნენ კონკურენტუნარიანები.

კრიმინალისტიკის ლაბორატორიით ძირითადად ჩვენი უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულების მე-4 კურსის სტუდენტები სარგებლობენ. მათთვის სასწავლო პროცესი ლაბორატორიაში მიმდინარეობს ყოველ დღე, თუმცა დაინტერესების შემთხვევაში ჩართვა იურიდიული ფაკულტეტის სხვა მიმართულებების სტუდენტებსაც შეუძლიათ. ამ მიზნით შევიმუშავეთ დეტექტივ-გამომძიებლის მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელსაც მალე ავამოქმედებთ.

წელს დავდგით იმიტირებული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაც, რომელიც შემთხვევის ადგილის დეტალურ დათვალიერებას, კვლების აღებასა და ლაბორატორიულ საქმიანობასაც მოიცავდა. პროცესში სისხლის სამართლის მე-4 კურსის სტუდენტებთან ერთად პირველკურსელებიც აქტიურად ჩაერთნენ.

დღევანდელ პირობებში ჩვენ შეგვიძლია ვიმუშაოთ ტრასოლოგიის მიმართულებით ანუ კვალზე და ეს საავსებით დამაკმაყოფილებელია, თუმცა ვაპირებთ გაფართოებას ბალისტიკის მიმართულებითაც.

მურმან გორგოშაძე, იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიმიტაციო სასამართლო დარბაზი წარმოადგენს ჩვენს უნივერსიტეტში იურიდიული განათლების რეფორმირების პროცესის ერთ-ერთ ეტაპს. იგი დაარსდა 2007 წელს. მისი შექმნის ინიციატორი იყო ჩვენი უნივერსიტეტის ახლანდელი რექტორი ბატონი მერაბ ხალვაში, რომელიც მაშინ სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი გახლდათ. ბატონი მერაბის ამ ინიციატივას მხარი დაუჭირა ჩვენი უნივერსიტეტის მაშინდელმა კანცლერმა ბატონმა მალხაზ ნაკაშიძემ და უნივერსიტეტმა დააფინანსა იგი. ამდენად, ამ ორი პიროვნების ძალისხმევით უნივერსიტეტს შეემატა პრაქტიკული სწავლების თანამედროვე დონეზე მოწყობილი, გამართული და ეფექტური საშუალება.

საიმიტაციო სასამართლო დარბაზის მოწყობის მიზანი იმთავითვე იყო იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტისთვის პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება და განვითარება. ჩვენი ფაკულტეტის ერთ-ერთი ღირსება სწორედ ისაა, რომ აქ სტუდენტები თეორიულ ცოდნასთან ერთად ითვისებენ იურისტისთვის აუცილებელ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. ამ საქმეს საიმიტაციო სასამართლო დარბაზთან ერთად ემსახურება 10-კრედიტიანი სასწავლო პრაქტიკა სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებაში, იურიდიული კლინიკა და კრიმინალისტიკის კაბინეტ-ლაბორატორია. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიმიტაციო სასამართლო დარბაზით შეუძლიათ ისარგებლონ ამ უნივერსიტეტის სტუდენტებმა და სარგებლობენ კიდეც. არაერთხელ საიმიტაციო სასამართლო დარბაზში სხვადასხვა სახის ღონისძიება ჩატარებულა სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის. აქ მოსწავლეებიც აწყობენ იმიტირებულ სასამართლო პროცესებს. რამდენიმე წლის წინ დარბაზით ისარგებლეს ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტებმაც. თუმცა ჩვენი საიმიტაციო სასამართლო დარბაზით ძირითადად იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები სარგებლობენ - აწყობენ სასამართლო პროცესებს, იძენენ და ხვეწენ სასამართლო პროცესის მონაწილეთათვის აუცილებელ პროფესიულ უნარებს.

აქვე აღვნიშნავ, რომ საპროცესო სამართლის კურსების სილაბუსები სემესტრში ერთხელ მაინც ითვალისწინებს იმიტირებული სასამართლო პროცესის ჩატარებას, დარბაზს იყენებენ აგრეთვე სხვადასხვა როლური თამაშებისთვისაც. ამდენად, საიმიტაციო დარბაზი ხშირად გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ნარგიზ ცეცხლაძე, იურიდიული კლინიკის ხელმძღვანელი: „ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის იურიდიული კლინიკა საადვოკატო ოფისის მოდელია, რომლის მიზანია სტუდენტების პროფესიული განათლების გაღრმავება და მათთვის პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავება. კლინიკა შეიქმნა იმისათვის, რომ პრაქტიკოსმა იურისტებმა თავიანთი გამოცდილება გაუზიარონ სტუდენტებს. სტუდენტებს კი ეძლევათ შესაძლებლობა საკუთარი ცოდნა პრაქტიკულად გამოიყენონ, გააანალიზონ, კრიტიკულად შეაფასონ სამართლის ნორმათა გამოყენების საკითხი კონკრეტული იურიდიული პრობლემის გადასაწყვეტად, გააანალიზონ საზოგადოების სოციალურად დაუცველი ფენების სამართლებრივი მომსახურება. ანუ ეს არის მომხმარებელი, რომელიც საჭიროებს იურიდიულ დახმარებას და რომელსაც არ გააჩნია სახსრები დაიქირაოს ადვოკატი. თავის მხრივ, საუნივერსიტეტო სწავლების მაღალ საფეხურზე, სტუდენტთა ინტერესი მდგომარეობს იმაში, რომ შესასწავლი საგნები, იურიდიული დისციპლინები გამოიყენონ პრაქტიკაში და დაეუფლონ პროფესიულ, კერძოდ, ადვოკატის, კომუნიკაციის, სამართლებრივი ეთიკის უნარ-ჩვევებს.

ზემოაღნიშნულის მიზნებისთვის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული კლინიკა, უნდა ითქვას, რომ 2008 წლიდან ფუნქციონირებს საკმაოდ წარმატებულად. აღნიშნული დასტურდება იმით, რომ წლების განმავლობაში იზრდება როგორც სტუდენტთა მოთხოვნილება, რომლებიც კონკურსის წარმატებით გავლის შემდეგ ხდებიან კლინიკის წევრები, ასევე მოქალაქეთა მომართვიანობის ზრდის ტენდენცია სხვადასხვა სახის იურიდიული დახმარებისთვის“.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

გასულმა წელმა გამოკვეთა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისეთი ძლიერი მხარეები, როგორიცაა: პროფესორ–მასწავლებელთა და სტუდენტთა აკადემიური მობილობის, მათ შორის - საერთაშორისო გამოცდილება; სასწავლო პროცესის საინფორმაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა. გარდა ამისა, აბიტურიენტების განაცხადების მიხედვით ჩანს, რომ ბევრ ახალგაზრდას სურს ჩვენს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლა და გვაქვს მაღალი საუნივერსიტეტო რეიტინგი. ასევე, მაღალია კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი; დაინერგა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. გასულ წელს რადიკალურად განახლდა, ფაქტიურად, თავიდან შეიქმნა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. გაიხსნა ფოტო და ვიდეო სტუდია, ფსიქოლოგიის კლინიკა. ევროკავშირის გრანტის ფარგლებში სულ მალე ამოქმედდება „ბავშვთა და ახალგაზრდების ადვოკატირების ცენტრი“.

ჟურნალისტიკის სპეციალობის მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა “კორესპონდენტის” სპეციალობის სტუდენტები

ვორკშოფი ევროპული თანამშრომლობისა და შესაძლებლობების საკითხებზე

ტრენინგი ჩინეთის რესპუბლიკაში

ამერიკელი პროფესორის საჯარო ლექცია

ბსუ-ს სტუდენტები ნატოს გენერალურ მდივანს იენს სტოლტენბერგს შეხვდნენ

„ნეიროგანვითარებითი დარღვევები - მტკიცებულებები და შესაძლებლობები“

ფსიქოანალიტიკის საზაფხულო სკოლა

ფსიქოლოგიური კლინიკა

ფსიქოლოგიური კლინიკა, რომელიც სულ მალე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე ამოქმედდება, მიზნად ისახავს ამავე ფაკულტეტის სტუდენტებისათვის პრაქტიკული სამუშაოების განსახორციელებლად საჭირო გარემოს შექმნას. ყურადსაღებია ისიც, რომ ქალაქში არის საჭიროება არსებობდეს ფსიქოლოგიური მომსახურებისა და ფსიქო-სარეაბილიტაციო ცენტრები. შესაბამისად, აღნიშნული კლინიკა მოემსახურება კერძოდ დარღვევების მქონე მოსწავლეებს და ბაღის აღსაზრდელებს, შეძლებს მათ შეფასებას, დიაგნოსტიკასა და რეაბილიტაციას.

პარალელურ რეჟიმში პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად განცხადება შევიტანეთ ევროკავშირში, რის შედეგადაც დაფინანსდა პროექტი, რომელიც ფსიქოლოგიური კლინიკის პარალელურად იურიდიული კლინიკის ფუნქციონირებას გულისხმობს. ეს იქნება „ადვოკატირება ბავშვების და ახალგაზრდების დასაცავად“. იქ დაეხმარებიან 21 წლამდე ახალგაზრდებს და აღმოუჩენენ მათ იურიდიულ დახმარებას. ამ ყოველივეში კი საჭიროებისამებრ ფსიქოლოგიური კლინიკაც თავის კუთვნილ წვლილს შეიტანს.

იურიდიული მომსახურეობისათვის ფინანსურ ანაზღაურებას ევროკავშირი უზრუნველყოფს, ბენეფიციარებისათვის კი მომსახურება უფასო იქნება.

სტუდენტები აქტიურად იქნებიან ჩართულნი ფსიქოლოგიური კლინიკის საქმიანობაში. ორი მაგისტრანტი გაივლის ექვსთვიან სტაჟირებას, შემდეგ ეტაპზე კი საჭიროებისამებრ კვლავ ორი მაგისტრანტი, რომლებსაც როტაციის წესით შევარჩევთ. ამ საინტერესო საქმიანობაში აქტიურად იქნებიან ჩართულნი ბაკალავრიატის ბოლო საფეხურის სტუდენტებიც.

დარღვევების მქონე ახალგაზრდებისათვის საჭიროა სპეციალური ინვენტარი, რომლითაც კლინიკა აღიჭურვება. სპეციალური ლიტერატურა უკვე შეძენილია. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დიდი წვლილი შეიტანა ამ პროექტის წარმატებით განვითარებისთვის. იგი სულ მალე ამოქმედდება.

ლია ბოლქვაძე



„დავიბადე ქალაქ წყალტუბოში. ბავშვობის მოგონებები სწორედ ამ ულამაზეს ქალაქს უკავშირდება. მეშვიდე კლასში ვიყავი, როცა ოჯახთან ერთად გადმოვედი ბათუმში საცხოვრებლად. შეიძლება ითქვას, ეს ერთგვარი გამოწვევა იყო ჩემს ცხოვრებაში. ძალიან მალე შევეჩვიე ბათუმს და დღეს იგი ჩემი მეორე მშობლიური ქალაქია.

ასაკის მატებასთან ერთად ვაანალიზებდი, რომ სკოლის საბაზო ცოდნა აუცილებელია, რათა გახდე სტუდენტი. მიმაჩნია, რომ საკმაოდ აქტიური სასკოლო ცხოვრება მაქვს. ჩემთვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა მოხალისეობრივი ჩართულობა. მათგან გამოვარჩევდი „მომავლის თაობას''. მოხარული ვარ, რომ ამ აქტივობებმა მნიშვნელოვნად შეცვალა ჩემი ცხოვრება, მომცა საშუალება გავმხდარიყავი უფრო კომუნიკაბელური, გავცნობოდი უამრავ საინტერესო ადამიანს. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ვარ „რა? სად? როდის?“ კლუბის წევრი. ამ გუნდის წევრობა, ნიშნავს იყო მუდმივ ძიებაში და ზრუნავდე საკუთარი თავის განვითარებასა და პროგრესზე.

აღვნიშნავ ,რომ ვარ ოქროსმედალოსანი .ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა და ვფიქრობ ამაში განუსაზღვრელი წვლილი პედაგოგებს მიუძღვნით. სალიბაურის სკოლა ჩემთვის ოჯახია, სადაც ყოველთვის მიხარია მისვლა და მუდამ სიყვარულით სავსე ადამიანები მხვდებიან. მათი სითბო და მოტივაცია გადამდებია, ცოდნა კი უმთავრესი და ძალიან ღირებული მომავალი თაობისთვის .

ბათუმის უნივერსიტეტზე არჩევანი შევაჩერე ბევრი სინტერესო ფაქტის გამო. გამოვყოფდი გაცვლით პროგრამებს, რომლითაც ლიდერობს ეს უნივერსიტეტი. იგი რეიტინგულ უმაღლეს სასწავლებელთა სიაშია. აქებენ ამ უნივერსიტეტის ლექტორებს და სასწავლო პროცესს.

— მინდა ვიყო წარმატებული ადამიანი, ძლიერი და შემდგარი პიროვნება, პროფესიონალი ჩემ მიერ არჩეულ სფეროში. დარწმუნებული ვარ, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მე ამ ყველაფერს მომცემს“.

ელი ზა ეფაძე, ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი სალიბაური, აბიტურიენტი

„რატომ ვირჩევ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს? — ამას რამდენიმე მიზეზი განაპირობებს. პირველ რიგში ხელმისაწვდომობა, დაფინანსება და სოციალური შეღავათები. არჩევანის გაკეთებაში უნივერსიტეტის 82-წლიანი გამოცდილება უდავოდ დიდი პრიორიტეტია და ამავდროულად, თანამედროვე მოთხოვნებზე დაფუძნებული სასწავლო პროგრამები.

კიდევ ერთი მიზეზი თუ რატომ ვირჩევ ბსუ-ს არის ის, რომ შესაძლებლობა მექნება ჩემი ყველა იდეის პრაქტიკული განხორციელების, თანამედროვე ბიბლიოთეკა და ლაბორატორიები არაჩვეულებრივი რესურსია სტუდენტებისთვის. ბსუ-ს გააჩნია მრავალი და საინტერესო გაცვლითი პროგრამა, რაც ძალიან მაინტერესებს. ჩემი აზრით, ბსუ ის ადგილია, სადაც საფუძვლიანი განათლების მიღებაა შესაძლებელი.

ვარ ოქროს მედლის კანდიდატი. 12 წლის მანძილზე მაღალი აკადემიური მოსწრებით გამოვირჩეოდი.

სატელევიზიო პროექტ „ეტალონში“ დავიკავე მესამე ადგილი. გავიმარჯვე ხულოს მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ კონკურსში ნომინაციაში „საუკეთესო კალამი“, სადაც ჩემმა საკონკურსო ესემ პირველი ადგილი და საკმაოდ სოლიდური პრიზიც მომიტანა. ამასთან ვთამაშობ ინტელექტუალურ თამაშს „რა? სად? როდის?“ და ჩემს არაჩვეულებრივ გუნდთან ერთად უკვე რამდენიმე წელია ვიცავ სკოლის ღირსებას რაიონულ, რეგიონულ და რესპუბლიკურ თამაშებზე.

არასდროს მქონია ამბიცია გამორჩეულობის, პირიქით... ყველაფერი თანდათან დაიწყო და ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. გავცდი სკოლის ფარგლებს: ბანაკები, ტრენინგები, სხვადასხვა ორგანიზაციასთან თანამშრომლობა...

სასკოლო ცხოვრების პარალელურად ჩართული ვარ აქტიურ სამოქალაქო ცხოვრებაში. ვმუშაობდი ხულოს ახალგაზრდულ საკრებულოში, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰელფინგ ჰენდის“ პროგრამის ფარგლებში საქართველოს მოხალისეთა კოორდინატორად. ვახორციელებდი სხვადასხვა საზოგადოებრივ პროექტს.

რაც შეეხება სამომავლო პროფესიის არჩევას, საკმაოდ რთული აღმოჩნდა ჩემთვის. გამომდინარე იქედან, რომ შინაგანი ჭიდილის წინაშე ვიყავი: ერთი მხრივ ჰუმანიტარული მიმართულების უნარები, მეორე მხრივ კი ტექნიკური მიმართულებისადმი ინტერესი. ამიტომაც მომიწევს კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება. ერთი კი ვიცი, რა პროფესიაც არ უნდა ავირჩიო, მინდა ვიყო ჩემი საქმის კონკურენტუნარიანი სპეციალისტი.

ძალიან მომწონს ერთი გამონათქვამი, რომელიც ადრეული ბავშვობიდან მახსოვს: „ადამიანი სიკვდილამდე სწავლობს“. უმაღლესი სასწავლებლის დასრულება არ წარმოადგენს ჩემთვის საბოლოო მიზანსა და შედეგს... ის დანამდვილებით ვიცი, რომ მინდა ვიყო ჩემი საქმის პროფესიონალი და წარმატებული პიროვნება, რომელიც კარიერული წინსვლისა და განვითარების გზაზე დგას“.

ლევან ჩოგაძე, დაბა ხულოს საჯარო სკოლა, აბიტურიენტი

„ჩემს ცხოვრებაში ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტი მიდგას წინ. უნდა ავირჩიო უნივერსიტეტი, სადაც ვისწავლი და დავეუფლო პროფესიას, რომელიც დამოუკიდებელ პიროვნებად მაქცევს.

სწავლას ჩემს ცხოვრებაში პირველი ადგილი უჭირავს. ვსწავლობ ათებზე და არასოდეს მისწავლია მხოლოდ ქულებისთვის. პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერი“, ჩემთვის სტიმულის მომცემი აღმოჩნდა. ვარ მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტიური წევრი.

2015-2016 სასწავლო წელს ვმონაწილეობდით გარემოს დაცვის სამინისტროს ორგანიზებით ჩატარებულ ნიკო კეცხოველის სახელობის ფოტოკონკურსში, სადაც ჩემი ფოტო ხუთეულში აღმოჩნდა.

აქტიურად ვმონაწილეობ სხვადასხვა ოლიმპიადებში, რაიონულ ღონისძიებებში. 2016-2017 სასწავლო წელს პირველი ადგილი ავიღეთ ფრენბურთის რაიონულ ჩემპიონატში და ვმონაწილეობდით აჭარის ჩემპიონატში, სადაც გუნდის პირველ ნომრად ვთამაშობდი.

მინდა სტუდენტობის წლები ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს დავუკავშირო. თუ ადამიანს სწავლა უნდა, ის ყველგან ისწავლის, მაგრამ ამ უნივერსიტეტისკენ ყველაზე მეტად გაცვლითი პროგრამები მიზიდავს. უნივერსიტეტის არჩევაში დამეხმარა ჩემი ოჯახი, რადგან ფაქტობრივად, წინაპრებიდან მოყოლებული, ამ უნივერსიტეტში სწავლა ერთგვარ ტრადიციადაც გვაქვს. ისინი ჩემთვის მაგალითს წარმოადგენენ. სამომავლოდ მინდა ინგლისური ენისა და ლიტერატურის კონკურენტუნარიანი სპეციალისტი ვიყო როგორც ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც“.

ნატო სურმანიძე, შუახევის რაიონის სოფელი შუბანი, აბიტურიენტი



„2017 წელი მინდა ჩემთვის განსაკუთრებით წარმატებული იყოს, რადგან ამ წელს მნიშვნელოვან არჩევანს ვაკეთებ. უმაღლესი განათლების მისაღებად შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ვირჩევ და იმიტომ, რომ იგი იძლევა მაღალკვალიფიციური განათლების მიღების საშუალებას, აგრეთვე მომწონს სწავლის მეთოდიკა და საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები, რომელთა მიზანია სიახლეების დანერგვა და ცოდნის გაუმჯობესება. ამ ყველაფერთან ერთად, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც ვირჩევ მე ამ უნივერსიტეტს არის ის, რომ როგორც აჭარის მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები პიროვნებისთვის, იქ სწავლა ჩემთვის ხელსაყრელია.

მინდა სწავლა ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობით გავაგრძელო. აქედანვე მაქვს დასახული მიზნად, რომ აქტიურად ჩავერთვები საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, მონაწილეობას მივიღებ გაცვლით პროგრამებში, რაც დამეხმარება იმაში, რომ ვიყო წარმატებული სპეციალისტი.

სწავლის დამთავრების შემდეგ მინდა დავსაქმდე ჩემ მიერ არჩეული პროფესიით და გადავცე ცოდნა მომავალ თაობას. დღეისათვის განათლების სამინისტრო სხვადასხვა საინტერესო პროექტსა თუ პროგრამას ახორციელებს. შესაბამისად, მეც მინდა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ მისი ნაწილი გავხდე“.

ზეინაბ ართმელაძე, ხულოს რაიონის სოფელი ბეღლეთი, აბიტურიენტი

„მეცხრე კლასიდან აქტიურად ვარ ჩართული სხვადასხვა ტრენინგში. მაქვს ტრენერის წოდება. ვმონაწილეობდი დებატებში. წარმატების შემთხვევაში არაერთხელ ვყოფილვარ სხვადასხვა ბანაკში. ტრენინგი ჩავატარე შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში თემაზე: „კულტურა და სოციუმი, იდეოლოგია, პროფესიის არჩევა, პროექტების წერა და ელექტრონული კომუნიკაცია“.

საბაზო საფეხურის წარმატებით დასრულების საფუძველზე გადმომცეს პირველი კომპიუტერი. აქტიურად ვიყავი ჩართული შიდა სასკოლო და სკოლის გარეშე ღონისძიებებში, ინტელექტუალურ თამაშებში, მოხალისეც კი ვყოფილვარ, მიმიღია მონაწილეობა მანსანკანში. ვიყავი სკოლის თვითმმართველობის თავჯდომარე. რამდენიმე პროქტი წარმატებით განვახორციელე, რითაც სკოლას სპორტული ინვენტარი შევძინეთ.

გაცვლითი პროგრამები მაძლევს იმის საფუძველს, რომ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდე. ეს მომავალ დიპლომატს ყველაზე მეტად მჭირდება. ასევე მსმენია ისიც, რომ ამ უნივერსიტეტში წარმატებული პროფესურა ასწავლის. მინდა საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი ვიყო. უფრო მეტად ჟურნალისტიკა მიზიდავს, მაგრამ ეს პროგრამა საბწუხაროდ თქვენს უნივერსიტეტში არ ფუნქციონირებს. თანამედროვეობაში გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა ნებისმიერი პროფესიის ადამიანისათვის წარმატების საწინდარი ხდება, მით უფრო საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით“.

ანა ბერიძე, ქედის რაიონი, სოფელი ხარაულა, აბიტურიენტი

რედაქტორი
იოსებ სანიკიძე

სპეციალისტი
ნესტან მამუჭაძე

სარედაქციო კოლეგია:
ნანა ცეცხლაძე, ინგა შამილიშვილი,
ნათია წიკლაშვილი,
მურმან ცეცხლაძე, მურმან გორგოშაძე,
დავით გარათაშვილი,
გურამ ჩაგანავა, შოთა მამულაძე,
გუგული დუმბაძე, ნუგზარ ღომიძე

გაზეთი დაიბეჭდა შპს
„გამომცემლობა კოლორში“
ტელ.: 2 71 76 45
მის.: ქ. თბილისი,
კახეთის გზატკეცილი,
რკინიგზის ჩიხი 20